ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 26 (82)

3–9 ივლისი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დიქტატურის შავი აჩრდილი დასტრიალებს

ნოდარ ნათაძე

იმ სამ თვეში, რაც საქართველოში სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე გახდა, ჩვენმა ქვეყანამ გარესამყაროსთან და უცხო ძალებთან ურთიერთობაში ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა წინ. გაიხსნა საელჩოები, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები; შიდა ქართლიდან გავიდა უცხო ქვეყნის ჯარი, რომელიც დაუფარავად მოქმედებდა ჩვენს წინააღმდეგ; ბევრად უფრო მტკიცე პოლიტიკის წყალობით, ვიდრე მანამდე გვქონდა, მივუახლოვდით (დღეს ასე ჩანს) ჩვენს ცნობას ჩვენი თავისუფლების მთავარი მოწინააღმდეგის – რუსეთის მიერ; მეტ-ნაკლებად დაცულია აქამდე დაუცველად მიყრილი დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობათა სოფლები; იძებნება ჩვენი თავდაცვის მშენებლობის ახალი, რუსეთისაგან დამოუკიდებელი გზები; საქართველო აქტიურად ეძებს თავის ადგილს თავისუფალი კაცობრიობის სისტემაში და თავის გეოპოლიტიკურ როლს როგორც ჩვენს უშუალო რეგიონში, ისე მსოფლიოში. ყველანი მოწმენი ვართ იმ ფილიგრანულად დახვეწილი და ამავე დროს გაბედული, მსხვილმასშტაბიანი საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც დღეს ჩვენი ქვეყანა ატარებს, და უმრავლესობა მადლიერნი ვართ განგებისა, რომ ამ მძიმე დროს ჩვენს ქვეყანას ე. შევარდნაძის სახით ესოდენ დიდი გამოცდილებისა და პრესტიჟის მქონე პოლიტიკოსი ჰყავს, დიდი ნიჭით, წარმოსახვითა და მსოფლიო-პოლიტიკური „მინდვრის“ მკაფიო ხედვის უნარით დაჯილდოებული. მინდა მოვიხსენიო ერთი გარემოებაც, რომელიც არსებითად, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ იშვიათად თუ ფიგურირებს ხოლმე საქართველოს შიდავითარებაზე მსჯელობისას ტელევიზიაში და პრესაში: წინააღმდეგ მარქსიზმის მეტისმეტად მარტივი (რბილად რომ ვთქვათ) თვალსაზრისისა, რომლის ინერცია საქართველოში ჯერ კიდევ დიდია, ქვეყნის შინაგანი მდგომარეობისა და შინაგანი სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია მისი გარეგანი ამოცანები და არა პირუკუ. სახელმწიფოს უპირველესი ფუნქცია გარეგანია და ადამიანთა უფლებრივი, სოციალური თუ ეკონომიკური ურთიერთობებიც ქვეყნის შიგნით იმისდა მიხედვით ყალიბდება, თუ რა ამოცანა აქვს ქვეყანას გადასაჭრელი თავის გარეთ ან გარედან მომავალი ძალის პირისპირ. მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ეს ჭეშმარიტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ხატოვნად – და ამავე დროს მცირედი გაზვიადებით – რომ ვთქვათ, საქართველოში კარგი მმართველი, პირველ ყოვლისა ის არის, ვისაც მტერზე გამარჯვება მოაქვს. საქართველოს მძიმე ისტორიამ მტერზე გამარჯვების ფასი კარგად გვასწავლა. „ერი თუ მტრის მძლეველია, მის მეტი არა უნდა რა“ – ნათქვამი აქვს ვაჟა ფშაველას „გველის მჭამელში“.

და მაინც, გამარჯვება არ არის ერთადერთი, რაც ქვეყანას სჭირდება. მას სჭირდება ცალკე ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების დაცვაც (რა თქმა უნდა პურთან, სამართლიანობასთან და მოქალაქის მეტ-ნაკლებად უსაფრთხოებასთან ერთად). სჭირდება, სხვათა შორის, იმისათვისაც, რომ მოწინააღმდეგის სტაბილურად დამარცხება შეძლოს (და არა მხოლოდ მოკლე ხნით), რაც განსაკუთრებით ითქმის საქართველოსთანა პატარა ქვეყანაზე, რომელიც თავისი მომავლის დაგეგმვას სხვა ვერაფერზე დაამყარებს გარდა თავისი ადამიანების (მებრძოლი იქნება თუ მშრომელი) ხარისხობრივი უპირატესობისა თავის პარტნიორებთან შედარებით. წინამდებარე წერილში ლაპარაკი გვექნება მოქალაქის უფლებების ბედზე, ანუ დემოკრატიაზე დღევანდელ საქართველოში. მაგრამ მინდა რამდენიმე შენიშვნა წავუმძღვარო ისევ და ისევ გარეშე ძალებთან გამარჯვების მოპოვების თაობაზე, სახელდობრ, აღვნიშნო საქართველოს დღევანდელი კურსის რამდენიმე ისეთი ნაკლოვანება, რომელიც საეჭვოს ხდის ამ კურსზე სვლით სწორედ გარეგან მტრულ ძალებზე გამარჯვების პერსპექტივას.

ა) საქართველოს ხელისუფლებას არ გაუცხადებია მკაფიო და პრინციპული პოზიცია საქართველოდან უცხო ქვეყნის ჯარების გასვლის თაობაზე (ამ საკითხზე ლაპარაკი იყო „საქართველოს“ წინა ნომერში, გვ. 1–2, ამიტომ აქ ამ თემას აღარ ვაგრძელებთ).

ბ) საქართველოს ხელისუფლება არ იღებს ზომებს, რათა ჩვენმა ქვეყანამ ხელში აიღოს თავისი საზღვრის დაცვა (ხმელეთზე და ზღვაზე).

გ) ასევე წინ არ მიდის საქართველოს მოქალაქეობის შემოღების საქმე.

დ) მიუხედავად სიტყვიერი განცხადებებისა, წინ არ მიდის არმიის შექმნის საქმე. არმია გახლავთ იმ ადამიანთა ორგანიზაცია, რომლებიც მზად არიან ქვეყნის დაცვისათვის და სამუშაო დღეს თავისი მომზადებისა და ორგანიზაციის სრულყოფაში ატარებენ. მისი შექმნა, ანუ საქართველოს სრულყოფილი შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, შეიძლებოდა ჯერ კიდევ ამ 20 თვის წინ და შეიძლება ახლაც, მიუხედავად სახსრების უქონლობისა თუნდაც ერთი თანამედროვე დივიზიის ან ბრიგადის შესაქმნელად (უფრო მეტიც: მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში რკონში მტერმა და მოყვარემ თოფქვეშ მდგარი თერთმეტი ათასი ქართველი გვარდიელი დაინახა, განუხრელად მიმდინარეობს საქართველოს სამხედრო ძალის თანდათანობითი დნობის პროცესი).

ე) საქართველოში არ შეიქმნა და არ იქმნება სამხედრო მრეწველობა.

ვ) შიდა ქართლში მოსახლეობის დამცველად მოწოდებული მილიციელების აღჭურვის საქმე შეუდარებლად უარესადაა დაყენებული, ვიდრე ქუჩაში და გზებზე მოსიარულე უფორმოების აღჭურვის საქმე.

დასასრულ, საქართველოს სჭირდება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი – საკუთარი ფული. მაგრამ ამ თემას აქ არ ვაგრძელებთ მასთან დაკავშირებული სპეციფიკური სირთულეების გამო.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ თავს ნებას მივცემ საკუთრივ დემოკრატიის, საქართველოში მისი პერსპექტივისა და მისი გაქრობის საშიშროების თემას შევეხო.

## დიქტატურის საშიშროების ნიშნები

ასეთი ნიშნები დღეს საქართველოში სამგვარია.

1. არის „ლოზუნგი“ და, შესაბამისად, მიმდინარეობს უკვე ხელმოწერების შეგროვებაც (ალბათ „ზნეობის“ მექანიზმთა სათანადო გამოყენებით), რომ არ ჩატარდეს 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, არამედ ჩატარდეს მხოლოდ რეფერენდუმი, რომელიც რწმუნებით აღჭურავს დღევანდელ ხელისუფლებას. ამ კამპანიას, თუ არ ვცდები, სათავეში უდგას პიროვნებათა ერთი ჯგუფი საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი პირველი მდივნის ხელმძღვანელობით.

2. არის პოლიტიკური ორიენტაციისა და იდეოლოგიის ნიშნით ადამიანთა დაპატიმრების დასაბუთებისა და გამართლების მცდელობა („ზვიადისტია, ამიტომ დაჭერილი უნდა იქნესო, მიუხედავად იმისა, რომ „ზვიადიზმზე“, როგორც იდეოლოგიაზე ან პოლიტიკურ მიმართულებაზე, ლაპარაკიც კი სასაცილოა), რასაც, ბუნებრივია, ადვილად დაერთვის ზედ კომუნისტების (და არა მხოლოდ კომუნისტების) ჩვე-



ლი პრაქტიკა — „პოლიტიკურად“ დაპატიმრებული კაცისათვის არაპოლიტიკური ბრალდების წაყენება (იარაღის შენახვა, კომენდანტის საათის დარღვევა ან სხვა, უფრო მძიმე ბრალდებებით შეკოწიწება).

3. არის პოლიტიკური მართლშეგნების, მოქალაქეობრივი მართლშეგნების, ზოგადად რომ ვთქვათ — აზროვნების უკიდურესად დაბალი დონის კულტივირებისა და გავრცელების მცდელობა, რაც, სამწუხაროდ, ობიექტურზე ობიექტურ საფუძველს — ჩვენში პოლიტიკური კულტურის თითქმის სრულებით არარსებობის ფაქტს ემყარება. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ის, თუ რას გაიგონებთ და რას ვერ გაიგონებთ (ან თითქმის ვერ გაიგონებთ) ქუჩაში, არამედ ისიც, თუ რას გაიგონებთ ისეთ ელიტარულ კრებულში, როგორიც **სახელმწიფო საბჭოა,** სადაც გასულ შაბათს რამდენიმე ორატორმა ისე მიმოიხილა პოლიტიკური ვითარება და მისი გამოსწორების გზები, რომ არც კი გახსენებიათ კანონის უზენაესობა, უდანაშაულობის პრეზუმპციის, საჭიროებაზე წინ სამართლიანობის დაყენების იურიდიული და სოციალური პრინციპები, ისეთ ფუფუნებაზეც რომ არაფერი ვთქვათ, როგორიცაა ინდივიდუალური ადამიანის, პიროვნების უსასრულო და დაუსრულებლად ღირებულად აღიარების ფილოსოფიური პრინციპი. მართალია, იმ რამდენიმე ორატორის გარდა რამდენიმე სხვამაც ილაპარაკა სხვა სტილში და იმ პირველთა საწინააღმდეგოდ, მაგრამ მათმა სუსტმა ხმამ ვერ დაძლია პირველთა ხმები შეკრებილი საზოგადოების თვალში.

ეს უკანასკნელი, მესამე ხიფათი, მე ყველაზე საშიშად მიმაჩნია. დემოკრატია არც ...კრეტის საგანია და არც გადატრიალებისა ან გადმოტრიალებისა. იგი განვითარების საგანი და მიზანია. ინტელექტუალური და ზნეობრივი განუვითარებლობა საზოგადოებისა დემოკრატიის არარსებობის, ანუ დიქტატურის არსებობის უპირველესი პირობა და საფუძველი გახლავთ — ისეთი საფუძველი, რომელიც უფრო და უფრო მტკიცდება და მყარდება თვით შედეგის — დიქტატურის — მოსვლის შემთხვევაში.

## სწორია თუ არა ტერმინი „ფაშიზმი“?

ეს კითხვა დაგვიდგა იმიტომ, რომ ეს ტერმინი უკვე გამოყენებულ იქნა მაღალი ტრიბუნიდან (თვით ბ-ნ ე. შევარდნაძის მიერ) ზ. გამსახურდიას მომხრეთა მიმართ. ჩემის აზრით, მისი გამოყენება სრულებით უსაფუძვლოა. ფაშიზმი არის სისხლიანი ტოტალიტარიზმი (ყველა თავისი ამორალური მახასიათებლებით), რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეფექტიან მობილიზაციას სამხედრო ამოცანების გადასაწყვეტად. თუ სამხედრო ამოცანას ეკონომიკური რევანშის ამოცანაც, ანუ განუვითარებელი ქვეყნის ხელოვნურად დაჩქარებული განვითარების ამოცანაც დაუმატეთ („დავეწიოთ და გავასწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს“!), რაც იწვევს არა მხოლოდ მობილიზაციას ეკონომიკის სფეროში (რაც ჰიტლერს ჰქონდა), არამედ დიქტატსაც (რაც სტალინური ეკონომიკის არსია), მაშინ ხელთ უკვე კომუნიზმი გაქვთ. სასაცილოა იმის თქმა, რომ გამსახურდიას ან მის მიმდევრებს რაიმეს მობილიზაცია, ან ორგანიზაცია, ან რაიმე სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაჭრა ჰქონოდეთ გეგმად. პირიქით, ეს (სამწუხაროდ) ადამიანთა ისეთი მოუმზადებელი და არაკვალიფიციური ჯგუფი აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა (თავისი პოლიტიკური ეგოიზმის გამო), როგორ შეენარჩუნებინა ხელისუფლება პირადად, და სრულებით ვერ ფიქრობდა იმაზე, რა უნდა ეღონა სახელმწიფოს გადასარჩენად. ფაშიზმის არსი იყო საკონცენტრაციო ბანაკი და ხვრეტა. კომუნიზმის არსი იყო ისევ საკონცენტრაციო ბანაკი, ოღონდ ციმბირის უსასრულო სივრცეში გაშლილი, და ისევ ხვრეტა, ამასთან ერთად — დეპორტაცია, ეროვნული ასიმილაცია და ადამიანის ქცევა უუფლებო შინაურ პირუტყვად, რომელსაც კარგი პატრონი კარგად უვლის (მაგალითად, ყოველწლიურად ფასებს უკლებს სტალინივით), ცუდი პატრონი კი ცუდად. ზ. გამსახურდიას „რეჟიმის“ არსი იყო, უარეს შემთხვევაში, კარვის ქალების კივილი და ისტერიკა. ფაშიზმი იყო თანამედროვე ტირანია, ანუ ისეთი დიქტატურა, რომელიც ემყარება საზოგადოებაში არსებულ ძალთა გარკვეულ კომბინაციას. კომუნიზმი იყო თანამედროვე დესპოტია, ანუ ისეთი დიქტატურა, რომელიც ემყარება საზოგადოებაში ძალთა არარსებობას (არის მხოლოდ სახელმწიფო აპარატი და ადამიანთა უფორმო მასა). რას ემყარებოდა ზ. გამსახურდიას რეჟიმი? ვერაფერს, გარდა ალალი ადამიანების მასის ემოციური აღტყინებისა წმინდა ლოზუნგებით — ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიის ლოზუნგებით — და ამ მასის მოუმზადებლობისა, რომ ეს ღირსეული ლოზუნგები მიტინგების ამა თუ იმ ლიდერთა არც თუ ღირსეული პიროვნებებისგან გაერჩია. ტერმინს „ფაშიზმი“ მსოფლიოს თვალში დღეს სავსებით გარკვეული შინაარსი აქვს შეძენილი, რომელიც არანაირად არ ეთანადება საქართველოს დღევანდელ ან გუშინდელ ვითარებას. მისი გამოყენება დღევანდელი საქართველოს მიმართ არა მხოლოდ უმართებულოა, არამედ სახიფათოც.

ადრე დავწერე ერთხელ და ახლაც მინდა გავიმეორო, საქართველოში დესტაბილიზაციისაკენ მიმართული დანაშაულობები (აფეთქებები და სხვა) მიმართულია არა იმდენად ხელისუფლების წინააღმდეგ, რამდენადაც თვით ქვეყნის, საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ მათ ჩამდენთა და ინიციატორთა ძებნაში დიდი თავდადება და დიდი გონიერება გვმართებს. სად არის იმპერიის ის უძლიერესი აგენტურა, რომელიც საქართველოში არსებობდა საქართველოს კომუნისტი ხელისუფლებისაგან მალულად (გარდა იმ აგენტურისა, რომელიც კომუნისტ ხელისუფალთა ხელში იყო)? გაქრა? ალბათ, არა. მხილებულია, განიარაღებულია, გაძევებულია? როგორც მოგეხსენებათ, არა. მაშასადამე, საქართველოში მომხდარი დივერსიული აქტების მიზეზთა და წყაროთა ძებნისას ამ ფაქტორის გათვალისწინებაც გვმართებს.

## დიქტატურის პერსპექტივები საქართველოში

პარლამენტის ერთ-ერთ სესიაზე, როცა შინაგანი ვითარება საქართველოში უკვე ძალიან დაძაბული იყო, პრეზიდენტ გამსახურდიას ვუთხარი: საქართველოში რეპრესიულ აპარატს ვერ შექმნით (ამა და ამ მიზეზთა გამო), ამიტომ უმჯობესია, მის შექმნას არც ეცადოთ-მეთქი. ნუ შეეცდებით, ქართველი ხალხი გატეხოთ, ჯობს, ისევ გონიერი მართვის გზა ირჩიოთ-მეთქი. იგივე მინდა გავიმეორო დღეს. იმ ხარისხის დიქტატურას, რომელიც საქართველოში კომუნისტების დროს იყო, სჭირდება უცხო არმიაზე დაყრდნობა და ციმბირი. ეს ფაქტორები, მადლობა ღმერთს, სამუდამოდ გვცილდება (თუკი ვივარგებთ და ჩვენი საქმე ჩვენივე ღალატით ან უნიათობით არ დავღუპეთ). გარდა ამისა, დიქტატურას სჭირდება სათანადო იდეოლოგია: დამჭერსაც და დასაჭერსაც უნდა სჯეროდეთ, რომ რეჟიმი ურყევია, რომ დამჭერი არ დაისჯება, ხოლო დასაჭერი ვერ დაიმალება. ჯანსაღ სახელმწიფოებრივ დისციპლინას სულ სხვა საფუძველი აქვს (პოლიციელმაც და დამნაშავემაც იცის, რომ ამა და ამ დანაშაულის ჩამდენს ამ ქვეყანაში არ ეცხოვრება, თუ სასჯელი არ მოიხადა). მაგრამ საბჭოური დიქტატურის მექანიზმები სწორედ ესაა, რაც ვთქვით. დღეს ეს მექანიზმი საქართველოში არ არსებობს და აღარც ოდესმე იარსებებს. რჩება მხოლოდ ის მექანიზმი, რომელიც ე.წ. ბანანების რესპუბლიკებში არსებობს — რეპრესიულ „სიკვდილის ბატალიონთა“ თარეში, რომელიც მოქალაქეს დროებით აშინებს მანამდე, სანამ თავს არ გადადებს ან ოჯახს საიმედო ადგილას არ გახიზნავს. ასეთი ბატალიონების შექმნა ძნელი არ არის (ეს ყველამ ვიცით). მაგრამ ღმერთმა გვაშოროს დიქტატურის ეს ნაკლებ ეფექტიანი ფორმაც.

დიქტატურა, რომელიც მხოლოდ ავტომატს ემყარება, სუსტია, საქართველოში კი დღეს უცხო წარმოების ავტომატების გარდა დიქტატურას სხვა საყრდენი არა აქვს.

## დემოკრატიის პერსპექტივები საქართველოში

მაგრამ აქვს თუ არა საყრდენი დემოკრატიას? ეს ბევრად უფრო მძიმე კითხვა გახლავთ.

დემოკრატიას ორი ძირითადი პარამეტრი აქვს. ერთია **მოქალაქის თავისუფლების ხარისხი სახელმწიფოსთან მიმართებაში,** ანუ ის, თუ რამდენად დამოუკიდებელია მოქალაქე სახელმწიფო აპარატის დიქტატისაგან, მეორეა მართვაში **მოქალაქის მონაწილეობის ხარისხი და ზომა.** თუ დემოკრატია პირველ პარამეტრში სუსტობს, მაშინ ადამიანი, ხატოვნად რომ ვთქვათ, მონაა და იგი ამ მდგომარეობას უჯანყდება მაშინვე, როგორც კი მასში პირადი ადამიანური თავმოყვარეობა ილვიძებს, ამ მხრივ დემოკრატიას ჩვენში უშუალო პერსპექტივა კარგი აქვს. მაგრამ თუ დემოკრატია სუსტობს მეორე პარამეტრში, მაშინ ადამიანი არის აპოლიტიკური არსება, განდეგილი, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი პატიოსანი მოქალაქე (უფრო ზუსტად კი — „მოქალაქე“), რომელიც ვერ ხვდება, რომ ხელი აღებული აქვს ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფუნქციაზე — გარესამყაროსთვის იმ სახის მიცემის ფუნქციაზე, რომელიც თვით ამ ადამიანს ყველაზე კარგი ჰგონია. ამგვარი მდგომარეობისაგან გამოსვლას სჭირდება ადამიანში **პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვიძება,** რაც პირადი თავმოყვარეობის გაღვიძებაზე ბევრად უფრო ძნელია. ქართველი ხალხის ყველაზე პატიოსანი და კვალიფიციური ნაწილი დღეს დიდწილად სწორედ ასეთი, პოლიტიკურად პასიური ადამიანებისაგან შედგება. ამიტომ უახლოეს ხანში (მე არ ვამბობ — მომავალში) ჩვენში დემოკრატიის ამ მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრის განვითარება სათუო ჩანს — სათუო, მაგრამ არა უპერსპექტივო, რადგან თვით გარემოებები უკარნახებენ ზემოხსენებულ განდეგილს იმ დასკვნას, რომ სანამ იგი საქმეში აქტიურად არ ჩაერევა, მანამდე მის ქვეყანაში სხვადასხვა ჯურის ვიგინდარების ბოგინი არ შეწყდება.

ადამიანებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამ გრძნობის განვითარებას განსაზღვრავს გაჭირვება, სოციალური განსაცდელი, თავისუფალი მეტოქეობა სხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებთან და მრავალი სხვა ფაქტორი — მათ შორის, ზნეობრივი გმირობის მაგალითი, თუკი საზოგადოებას ბედნიერება ჰხვდა, რომ ასეთი მაგალითი წარმოშვას.



# როგორ მოვიმრავლოთ მტრები?

ამ დღეებში არაერთი მოქალაქე მოგვადგა რედაქციაში, რომელნიც აღშფოთებულნი იყვნენ მათი ახლობლების, ნათესავებისა თუ მეზობლების უსამართლოდ დაკავების გამო.

სხვათა შორის, მსგავს ფაქტებზე არანაკლები აღშფოთებით იყო საუბარი სახელმწიფო საბჭოს 30 ივნისის სხდომებზეც. მაშასადამე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება არ არის და, ბუნებრივია, არც უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფოში ადამიანთა განუკითხავი დაკავებებით. არც გენერალურ პროკურორს გაუცია სანქცია ასეთი „დამნაშავეების" დასაკავებლად.

მაშ ვინ სჩადის ამას? ერთი რამ ფაქტია, ის ვინც მრწამსის გამო ამა თუ იმ პირს საკანში გამოკეტავს, თუნდაც ერთი საათით, სახელმწიფოს პირველი მტერი სწორედ ის „წესრიგის გულმოდგინე დამცველი" გახლავთ.

ამგვარი „პროფილაქტიკური სამუშაოებით" მომავალში უფრო მეტი სამუშაო გაუჩნდებათ „წესრიგის დამცველთ"...

განუკითხაობის ამ ფორმას დღეიდანვე უნდა მოეღოს ბოლო, რათა ხვალ გვიან არ იყოს...

გთავაზობთ ორ მასალას ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით.

# რეპორტაჟი მილიციის სამმართველოდან

სამშაბათს, 30 ივნისს, საქართველოს სახალხო ფრონტის თაოსნობით გაიმართა პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონფერენცია, რომელზეც გადაწყდა, შემუშავებულ იქნას ერთობლივი განცხადების ტექსტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკვანძო საკითხებზე.

კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს 24 ივნისის ტერორისტული აქტის შემდგომ დაპატიმრებულთა მდგომარეობაზე წინასწარ დაკავების საკნებში. ითქვა ისიც, რომ იზოლატორში იმყოფებიან მოქალაქეები, რომლებსაც ტერორისტულ აქტში მონაწილეობა არ მიუღიათ. ასე მაგალითად, ხუთი დღე (!) იმყოფებოდნენ ბრალდების გარეშე წინასწარ დაკავების საკანში გარდაბნის რაიონის საკრებულოს მდივანი თეიმურაზ სახლთხუციშვილი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე ოთარ კეჟერაშვილი, რომლებიც საკრებულოში სახალხო ფრონტს წარმოადგენენ.

კონფერენციის დასასრულს შეიქმნა ჯგუფი, რომელიც თბილისის მილიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკნებში ინახულებდა დაკავებულებს და მათი მდგომარეობისა და დაკავების მოტივების თაობაზე ზუსტ ინფორმაციას მიაწვდიდა საზოგადოებას. ამ ჯგუფში შევიდნენ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, სახელმწიფო საბჭოს წევრები ლევან მესხი და თემურ ნერგაძე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთაშორის ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი თენგიზ შარმანაშვილი, საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნისტ ინტერნეიშენლის" წევრი თამარ გლურჯიძე, სახალხო ფრონტის წევრები ჯემალ ჯიქია და ამირან დოლიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

მიუხედავად ასეთი სოლიდური დელეგაციისა წდს-ში შეღწევა ვერ მოხერხდა, რადგან ამისათვის პროკურორისა და გამომძიებლის სპეციალური ნებართვა ყოფილა საჭირო და თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის ბ-ნ დავით ზეიკიძის კომპეტენცია არასაკმარისი აღმოჩნდა. ამ ნებართვის მოპოვება ჩვენი ჯგუფის წევრებს, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდათ, ცოტა მეტი რომ მოენდომებინათ...

ასე რომ, ჩემი ჟურნალისტური ცნობისწადილი, ისევე როგორც დელეგაციის სხვა წევრებისაც, დაუკმაყოფილებელი აღმოჩნდა...

ერთადერთი, რასაც „მივაღწიეთ" ის იყო, რომ ჩაგვიყვანეს იზოლატორში და დაგვასწრეს ოთხი დაკავებულის (მათ შორის გარდაბნის რაიონის ყოფილი პრეფექტის, ონიანის) ეტაპირების პროცესს აღნიშნული წდს-დან რუსთავის საპატიმროსკენ. მანამდე კი ბატონ დ.ზეიკიძის კაბინეტში ასეთი შინაარსის საუბარი გაიმართა.

ნ.ნათაძე (მისალმების შემდგომ): — **რამდენი ადამიანია დაკავებული 24 ივნისის ფაქტზე და როგორია მათი მდგომარეობა?**

დ.ზეიკიძე — დაკავებულია 51 ადამიანი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ანძისა და ტელევიზიის დაკავებაში. არის კიდევ რამდენიმე თბილისელი და 25 გარდაბნელი მოქალაქე. მიმდინარეობს გამოძიება. ცემით მათ არავინ არ ცემს. ეს ჭორებია. როდესაც ტელევიზიის შენობიდან გამოყავდათ მომხვდურები, ხალხს სურდა ლინჩის წესით გასწორებოდნენ მათ და პირდაპირ მიიწევდნენ ბანდიტებზე. ნაცემნიც ამიტომ არიან. ჩვენ არ ვეპყრობით ცუდად. თქვენ (თ.შარმანაშვილს მიმართავს) გუშინ რამდენიმე მათგანი (თ.სახლთუციშვილი და ო. კეჟერაშვილი) ინახულეთ და დარწმუნდით, რომ ისინი ნორმალურ მდგომარეობაში არიან.

ჯ.ჯიქია: **რატომ არიან გარდაბნელები დაკავებულნი?**

დ.ზეიკიძე: მე გუშინაც ვთქვი, რომ ჩვენ არ დაგვიკავებია ეს ხალხი. თქვენ იცით გზა, თუ ვის უნდა ჰკითხოთ ეს... საერთოდ მოსაზრება ასეთია, რომ ზოგი მათგანი იყო მიტინგზე, ზოგიც ბუნკერში.

ნ.ნათაძე: **შეიძლება თუ არა დაკავებულების ნახვა?**

დ.ზეიკიძე: — ამის უფლება არა გვაქვს. გამონაკლისის დაშვება თქვენთვის, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ხვალ სხვები მოინდომებენ. ამიტომ არ ღირს ამის გაკეთება.

ლ. მესხი: **ჩვენ სახელმწიფო საბჭოს წევრები ვართ და სახელმწიფო საბჭოს დებულების თანახმად არ გვაქვს მათთან შესვლის უფლება?**

დ.ზეიკიძე — არა გაქვთ. სახელმწიფო საბჭოს დებულება არ არის ჩვენთვის კანონი. იქ დაშვება მოხდება მხოლოდ გამომძიებლისა და პროკურორის ნებართვით. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მეც კი არ მაქვს მათი უნებართვოდ ნახვის უფლება.

თ. შარმანაშვილი — **მათი ნახვა მხოლოდ იმიტომ გვინდა, რომ გავფანტოთ ის საზიზღარი ხმები, რომლებიც შემაძრწუნებელ ამბებს ჰყვებიან მათი მდგომარეობის შესახებ. ამბობენ, რომ დაკავებულნი სასტიკად არიან ნაცემი, ვერ მოძრაობენ, აწამებენ. მე მგონი თავად თქვენ უნდა იყოთ დაინტერესებულნი სიმართლის გარკვევით.**

დ.ზეიკიძე — კი, ბატონო, მაგრამ მე მიკვირს თქვენი. ლაპარაკობთ დარღვევებზე ჩვენთან იზოლატორში და რატომ გარეთ არ იცავთ ასეთი მონდომებით ადამიანის უფლებებს?! დღეს ყველაზე უფრო მეტად სამართალდამცველი ორგანოს მუშაკები არიან შევიწროებულნი. მათ ხოცავენ, აბუჩად იგდებენ და ყველაზე შავ სამუშაოს აკეთებინებენ. რატომ ერთხელ არავინ, არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ იტყვის ამაზე? პრესა და ტელევიზიაც გაჩუმებულია. რამდენი ვინმე დაიღუპა და დაიჭრა კანონის დაცვის დროს, რამდენი ოჯახი გაუბედურდა და არავის, არც ერთ პარტიას არ ამოუღია ხმა. აქ კი ბანდიტების ბედზე წუხხართ და მუდამ ჩვენ გვიპირისპირდებით. იცოდეთ, რომ ხალხი ჩვენ გვიჭერს მხარს და (ხუმრობით ლაპარაკობს — კ.ლ.) თუ ჭკუით არ იქნებით, ისე დავუპირისპირებთ პარტიებს მოსახლეობას, რომ ცუდად წაგივათ საქმე.

ხალხს ყელში ამოუვიდა უკანონობა და თავად მოითხოვს ბანდიტების ლინჩის წესით გასამართლებას.

ლ.მესხი — **ჩვენ გვესმის თქვენი [illegible], მაგრამ მე ვერ ვითანამშრომლებ თქვენთან, თუ ლინჩის წესით გასამართლებას უჭერთ მხარს.**

დ. ზეიკიძე — მე არ ვარ დაინტერესებული ლინჩის წესით გასამართლებით, მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. კანონი მთელი ძალით უნდა ამოქმედდეს...

თ.შარმანაშვილი — **[illegible] ვუხერხებდით პატიმრების ნახვას და ახლა რა მოხდა?! არ მესმის, რატომ ღებულობთ ჩვენს ვიზიტს ისე, თითქოს თქვენ გიპირისპირდებოდეთ? ჩვენ გვსურს, რომ კანონები არ ირღვეოდეს არც ციხის კედლებში და არც მის გარეთ, რაც, სამწუხაროდ, ხდება.**

თ.გლურჯიძე — **შემთხვევით ხალხზე რას იტყვით, რომლებიც დაკავებულნი არიან?**

დ.ზეიკიძე — შემთხვევით ხალხს რაც შეეხება, დადგინდება და ხვალ-ზეგ გავათავისუფლებთ. იმათაც გავუშვებთ, ვინც ყოფილი პრეზიდენტის იდეური მხარდამჭერია, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაული არა აქვს. საერთოდ იმ არეულობაში ძნელი იყო ყველაფრის გათვალისწინება.

**ასე დამთავრდა ჩვენი დელეგაციის ვიზიტი ბ-ნ დ.ზეიკიძესთან.**

**როგორც გითხარით ამის შემდგომ იყო, რომ რამდენიმე კაცი ჩაგვიყვანეს იზოლატორში და გვანახვეს ოთხი დაკავებულის გადაყვანის პროცესი. ჩვენ არ გვქონდა უფლება მათთან გასაუბრებისა, მხოლოდ თვალი გავაყოლეთ. თვალს თუ ვენდობით, ისინი, ის ოთხი, ნამდვილად არ ჰგავდნენ ნაცემს, მაგრამ მათ გარდა საკნებში 120 (60 ადგილზე!) კაცია...**

კობა ლიკლიკაძე

## თ. შარმანაშვილი:

# ყოველგვარი რეპრესიების წინააღმდეგი ვარ

— **ბატონო თენგიზ, თქვენ ერთაშორის ურთიერთობისა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი ხართ. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ეტაპზე, თქვენი კომისიის ამ ურთულესი სახელწოდების პირველი ნაწილი ხომ არ ჩრდილავს მეორეს — ადამიანის უფლებათა დაცვას?**

— თქვენი შეკითხვა სავსებით გასაგებია. ამ დასათაურების მეორე ნაწილი — ადამიანის უფლებათა დაცვა, — როგორც წესი, დასავლეთის ქვეყნებში საპარლამენტო კომისიის ფუნქციაა. ამ კომისიებს აკისრიათ როგორც საკანონმდებლო, ისე საკონტროლო ფუნქციები. ვინაიდან არჩევნებამდე სულ მცირე ხანი დარჩენილი და ამ პერიოდში ვერ მოესწრება ფართო საკანონმდებლო ცვლილებები, თუნდაც საკონტროლო ფუნქციებით, სავსებით ნორმალური მოვლენაა შეითავსოს ეს ფუნქცია.

— **როგორ [illegible] ამ კუთხით?**

— მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს სახელმწიფოს მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვისადმი ნაკლებულად შეიცვალა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან სახელმწიფო საბჭოში მრავლად არის წარმოდგენილი ისეთი პარტიები და ადამიანები, რომლებსაც სწორად ესმით ადამიანის უფლებათა დაცვა და არ დაუშვებენ ადამიანის უფლებათა ტოტალურ დარღვევას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთათვისაც უცხო ცნებაა საერთაშორისო სამართლის ნორმების აღიარება და კვლავ საბჭოური სტანდარტების გავლენაში იმყოფებიან. ამიტომაც, რა თქმა უნდა, ისევ ილახება ადამიანის უფლებები საქართველოში. მაგრამ დღეს აშკარად არის იმის შესაძლებლობა, რომ ამ დარღვევებს სახელმწიფო დონეზე, საჯაროდ ვებრძოლოთ.

— **სრულიად გაურკვეველი მიზეზებით ხუთი დღით შეაკავეს დაკავებული გარდაბნის რაიონის საკრებულოს მდივანი თ. სახლთხუციშვილი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე ო. კეჟერაშვილი. რას იტყოდით ამ ფაქტზე?**

— ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. უფრო სწორედ, აქ ერთდროულად რამდენიმე დარღვევასთან გვაქვს საქმე. პირველი: ისინი სამ დღე-ღამეზე მეტი ხნით დააკავეს სანქციის გარეშე და მხოლოდ მეხუთე დღეს გამოუშვეს, ჩვენი ჩარევის შემდეგ. მეორე — თავად მათ დაკავების ფაქტს არავითარი საერთო ექსპრეზიდენტის მომხრეობა-არმომხრეობასთან არ ჰქონდა. ეს იყო, ჩემის აზრით, წმინდა სოციალური მოტივი და ამ ადამიანების მოშორება პოლიტიკურ ტალღაზე მოინდომა ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა თანამდებობის პირმა. ეს შემთხვევა შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს როგორც ჩვენი განყოფილების, ისევე სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

— **ბატონმა დ. ზეიკიძემ თქვა, რომ თბილისის მილიციას არ დაუკავებია ისინი. საკვირველია, როგორ მოხვდა გარდაბნელი მოქალაქეები თბილისის წდს-ში? სად მიდის ის გზა, რომელზეც ორაზროვნად მიგვანიშნა ბატონმა დავითმა საუბრის დროს?**

— სამწუხაროდ, ბევრს ერევა შინაგან საქმეთა სამმართველო და წინასწარ დაკავების საკანი, ვინაიდან ისინი ერთ შენობაში იმყოფებიან. თბილისის წდს-ში შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა რაიონებში დაკავებული ან დაპატიმრებული პირები. ასე რომ, თბილისის მილიციის სამმართველო პასუხს აგებს მხოლოდ თბილისში დაკავებულებზე, ხოლო დანარჩენზე შესაბამისი რაიონების პროკურატურა და მილიცია. ზემოაღნიშნული ფაქტი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი რაიონის სამართალდამცველმა ხელმძღვანელებმა გადაამეტეს თავიანთ კომპეტენციას და ეს დარღვევები ადგილზე უნდა იქნას შესწავლილი.

— **ხალხში ხმა დაირხა, თითქოს 24 ივნისს ტერორისტულ აქტში მონაწილენი და ეჭვმიტანილნი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან თბილისის წდს-ში. თქვენთვის ცნობილია ამგვარი ფაქტები?**

— მე და თქვენ ერთად ვნახეთ ოთხი მათგანი და მათ, დარწმუნებით, არავითარი ფიზიკური ზემოქმედების კვალი არ ეტყობოდათ.

ისე დაკავებულების ახლობლებს ვურჩევდი, დროზე მიემართათ ადვოკატებისათვის, რომელთაც აქვთ დაპატიმრებულების ნახვის ყოველდღიური უფლება და ამდენად, შეუძლიათ ყოველდღიური შემოწმებით თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი გაუგებრობები, თუ ასეთები არსებობენ.

საერთოდ რაიმე ფაქტი მათი ფიზიკური წამებისა ჩვენთვის უცნობია.

— **რას იტყოდით ბატონ გელანტიასა და გურამ ამსანძის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ირღვევა, თუ არა ადამიანის უფლებები მათი საქმის გამოძიების ასე უსაშველოდ გაგრძელებით?**

— მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მათი საქმის გამოძიება მართლაც უსაშველოდ გაიწელა. მეც, და ალბათ მთელ ქართველ საზოგადოებასაც აინტერესებს, თუ რა ბრალდებას წაუყენებენ მათ სასამართლოზე და რამდენად საფუძვლიანი იქნება ეს ბრალდება. სწრაფ გამოძიებაში თავად პროკურატურაც უნდა იყოს დაინტერესებული.

რაც შეეხება მათ ამჟამინდელ მდგომარეობას: ბატონი ტ. გელანტია ჩვეულებრივ საკანში იმყოფება, ხოლო ბ-ნი გ. ამსანძე იმყოფება ციხის საავადმყოფოში, სადაც მას მკურნალობენ. ჩვენთან შეხვედრისას, კარგად იგრძნობდა თავს. თქვენი თვალით ნახეთ ის აუცილებელი პირობები, რომელიც ციხეში და თუნდაც ამ საავადმყოფოშია. მაგრამ ეს პირობები ყველა პატიმრისათვის ერთია და არა მარტო ამ ორი ადამიანისათვის.

— **საზოგადოებაში გაჩნდა ერთგვარი საშიშროება, რომ [illegible] მოტივით ადამიანების დაპატიმრება ერთგვარი პროფილაქტიკური რეპრესიების [illegible]. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— რა თქმა უნდა, ბევრს გაუჩნდება სურვილი, რომ თავისი უნიათო მუშაობის „შევსება" მოახდინოს ამ ეგრეთ პროფილაქტიკური რეპრესიებით. ეს ძალზე საშიშია. ამის ერთ მაგალითზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მიიღებს თუ არა ეს საყოველთაო ხასიათს, თითოეულ ჩვენთაგანზეა — პარტიაზე თუ ცალკეულ ადამიანზეა დამოკიდებული.

ისე კი, ვინც ამგვარ საქმეებს სჩადის, უნდა იცოდეს, რომ [illegible] და ახლო მომავალში [illegible] და კარგისასაც თავისი [illegible].

— **რას იტყოდით იმის თაობაზე, რომ შეაჩერეს გაზეთები „იბერია სპექტრი" და „თავისუფალი საქართველო"?**

— სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მათი მოქმედების ყოველგვარი შეჩერება მიზანშეუწონლად მიმაჩნია. თუ სასამართლოზე ამ გაზეთების დამფუძნებლები ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას [illegible], რომელიც კანონის ძალით იძლევა მათი საქმიანობის შეჩერების უფლებას, კი, ბატონო. საერთოდ ყოველგვარი წინასწარი, პროფილაქტიკური შეზღუდვებისა და რეპრესიების წინააღმდეგი ვარ.

— **როგორ შეაფასებთ ჩვენს [illegible] საინფორმაციო საშუალებათა საქმიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით?**

— დასავლეთში არის ერთი ფრთიანი გამოთქმა — ჟურნალისტიკა დემოკრატიის მოდარაჯე ძაღლია. და ეს მართალიც არის. ამ კუთხით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში ბევრი არაფერი კეთდება. თითქმის არ არსებობს ჩვენში ჟურნალისტური გამოძიების ცნება. არადა ამის გარეშე ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია რეალური დემოკრატიის დამკვიდრება ქვეყანაში. თქვენი დღევანდელი მცდელობაც, გაერკვეთ ადამიანის უფლებათა დარღვევების მექანიზმში — მისასალმებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. ჟურნალისტის მეშვეობით არც ერთი კონკრეტული დარღვევის ფაქტი არ უნდა მიიჩქმალოს და მთელი საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. დამერწმუნეთ, რომ ჩვენს, ჯერ კიდევ არასამართლებრივ ქვეყანაში, ეს უპირველესი გამოსავალია.

ესაუბრა

კობა ლიკლიკაძე

# აფციაური, ს მემჩამი!..

*„კაცი რომ თავის თავს უზამს, მტერიც არ მოეკიდება".*

*(ხალხური)*

**ნოდარ გრიგალაშვილი**

**„რასაც ვამბობ, ისევ თქვენი და თქვენი ერთ დროს მართლა კარგი გაზეთის სიყვარულით მომდის, თორემ განა არ ვიცი, რომ ამით ლოყებს წინდაწინვე ვიხურებ იმ სილების დასაცხობად, თქვენს საპასუხო წერილში ფენაფენა რომ ეწყობა, მაგრამ რა ვქნა, მშიშარათა გორიდან არ ვარ და მოხდეს, რაც მოსახდენია".**

ამ სიტყვებით მომმართავს ბატონი ჯემალ აფციაური (იხ.გაზ. „საქართველო" № 20, (76) 1992წ.), მაგრამ თითქმის დარწმუნებულია, რომ მოსახდენი არ მოხდება და გაზეთ „საქართველოზე" გაბედული თავდასხმა ხახვივით შერჩება. საამისოდ მან წერილის შესავალში საკმაოდ გონივრულად იზრუნა.

პირადად ჩემს მიმართ, როგორც გაზეთის რედაქტორისადმი, იმდენი თბილი სიტყვა დახარჯა, რომ წინასწარი თამასუქის შემდეგ ივარაუდა, რა შენიშვნებიც არ უნდა მოეცა, აღარ გამოვედევნებოდი. ყოველ შემთხვევაში, მკვახედ მაინც აღარ ვუპასუხებდი.

ასე გაითვალა ოპონენტმა და ამას არც თავად მალავს... ჯ.აფციაურის სტატიის („ვერტიკალურად ზევით, საქართველოვ! ანუ ღია წერილი გაზეთ „საქართველოს" მთავარ რედაქტორს) ექსპოზიცია, ანუ წინასწარი თამასუქი, ასეთი გახლავთ:

**„დაე, მკითხველმა თავიდანვე იცოდეს, ბატონო ნოდარ, რომ ჩვენს შორის მხოლოდ ღიმილიანი ურთიერთობა იყო. რამდენჯერ დავწაფებივარ ამ ოაზისის ცივ წყაროს ზოგჯერ უდაბნოდ ქცეულ ჩემს ცხოვრებაში. სახალხო ფრონტის გაზეთისთვისაც თქვენი რედაქტორობა ნათლობა და მირონცხება გამოდგა, იცით სტრიქონის დაჰაშნიკება. სიტყვის ფსკერი და ზედაპირი. ისიც მომწონს წერილიდან არაფრისმთქმელ მსჯელობას შრატივით რომ გადმოღვრით ხოლმე და მხოლოდ კარგად ნაღვებ აზრსა და დაფრთიანებულ ფიქრს დაუტოვებთ მკითხველს, ხმაშიც თითქოს ფუტკარი გიზუზუნებთ, პურლვინოსაც უყვარხართ და რედაქციაშიც ნიჭით შუბლანთებული ისეთი ბიჭები გისხედან, როგორც ემაგ გაზეთის დალვინებულ სახელწოდებას ეკადრება.**

**ეს ჩემი აზრია, ჩემო ნოდარ, და ვფიქრობ, ეს აზრი ვენახივით აბმია სიმართლის ჭიგოს".**

ცოტა ქვემოთ ავტორი წერს:

„ახლა კი, **რადგან მიტევების ინდულიგენცია ჯიბეში მიდევს** (ხაზგასმა ჩემია — ნ.გ.), ის ვთქვათ, თუ ეს წერილი ჩემი მაგიდიდან თეთრი მერცხალივით რატომ წამოვაფრინე"...

ალბათ, მკითხველი მიხვდება, მიტევების როგორ „ინდულიგენციაზეც" არის აქ საუბარი. ბუნებრივია, ლაპარაკია ჩემგან პასუხის გაუცემლობაზე, ან სხვა შემთხვევაში, ადრესატისადმი პატივისცემით გამსჭვალული პასუხის გამოქვეყნებაზე. მიტევებაში სხვა აზრის ჩადება გამორიცხულია, რადგან რედაქტორი ავტორს გაკრიტიკებისათვის, როგორც წესი, თოფს არ უმიზნებს...

თოფი რა სახსენებელია. როგორი უსაფუძვლო შენიშვნებიც არ მოეცა ჯ.აფციაურს, ზემოთ წარმოდგენილი სიტყვების წამკითხველს, გული უნდა ამჩუყებოდა და მას, როგორც უფროს ძმას, ისე ჩავხუტებოდი...

ცოდვა გამხელილი სჯობს, ერთი ხანობა, ცოტა დავიბენი კიდეც და ჯ.აფციაურის წერილთან დაკავშირებით პასუხის გაცემა-არგაცემაზე ვყოყმანობდი, მაგრამ გაზეთ „შანსში" გამოქვეყნებულმა მისმა ავტოდითირამბებმა

და მისგან საკუთარი პერსონის წამებულ, უმწიკვლო მოღვაწედ წარმოდგენამ, მაიძულა ვამხილო კიდევ ერთი სამხელი კაცი.

ღმერთი-რჯული აფციაურთან, როგორც თავად ამბობს და მეც ვუდასტურებ, პიროვნულად გასარკვევი არასოდეს არა მქონია რა.

ეს პიროვნული ურთიერთობებია სწორედ, ბევრ რამეზე თვალს რომ გვახუჭვინებს. არც მე ვარ ოთარაანთ ქვრივივით ყოველთვის ყველაფრის გამო თავგამოდებული, მაგრამ, თუ კაცი საქართველოს წინაშე აშავებს, გაყუჩება ისევ საქართველოს წინაშე დანაშაული მგონია. ამიტომ, აფციაურის ფრთხილად ნათქვამს სიფრთხილის გარეშე გავიმეორებ —

## მოხდეს რაც მოსახდენია

მაგრამ ვიდრე მოსახდენი მოხდებოდეს, ჯერ ის ვთქვათ, რა წერია იმ წერილში, აფციაურმა რომ „თეთრი მერცხალივით წამოაფრინა მაგიდიდან".

ამ „მერცხალა" წერილის ავტორი ბრალდებებს ბელტებივით ალაგებს და რაკი ბრალდებულებად მიგვიჩნია, მომგებიან პოზაში ჩაიყენა თავი. მე ჩემსას ვიტყვი, ეგენი წავიდნენ და იმართლონ მერე თავიო. არავითარი კონკრეტული ფაქტი, არავითარი კონკრეტული არგუმენტი.

აფციაური იმ დედაკაცივით იქცევა, პატიოსან ქალს რომ ფეხმსუბუქობას დასწამებს. თუ ჰკითხავენ, რით შეგიძლია ეგ ამბავი დაამტკიცოო, მახვილგონივრულად უპასუხებს — ჯერ იმან დაამტკიცოს, რომ იმნაირი არ არისო...

ამ მარტივ პროვოკაციაზე წამოგებას ნამდვილად არ ვაპირებ, ესეც არ იყოს, გაზეთ „საქართველოს" მუშაობის ანგარიშს აფციაურს ვერ ჩავაბარებ...

ისე, კაცმა რომ თქვას, ზოგად მიეთ-მოეთში აფციაურმა სამი კონკრეტული შენიშვნაც შემოგვაპარა. კონკრეტულ ბრალდებათა უპასუხოდ დატოვება კი მართლა არ ეგების.

## ბრალდება № 1

**„რატომ არ ისმის „საქართველოდან" აზრთა ჭიდილის, შეხედულებათა დუელის, კალამთა პუბლიცისტური ომის ექო? თქვენი გაზეთი, მეგობრებო, თუ ისე დაცხრა და გაპენსიონერდა, რომ შვეიცარად დადგა ახალი ხელისუფლების კარებთან, მაშინ ან თქვენ ვინა და ან ის რა..**

**გთხოვთ, ცუდად არ გამიგოთ..."**

თქვენ რომ ეს ამბავი გაწუხებდეთ, ბატონო ჯემალ, ცუდად გაგიგებდით კი არა, კრიტიკისათვის საჯაროდ გეტყოდით მადლობას, მაგრამ არ გაწუხებთ თქვენ ის, რასაც წერთ. სხვა ტკივილმა „აგაფრენინათ" „თეთრი მერცხალივით" წერილი მაგიდიდან. თუ რის გამო მოხდა ეს, ამაზე ქვემოთ მოვუთხრობ მკითხველს. ახლა კი შენიშვნის შესახებ.

ამთავითვე მინდა განვაცხადო, კმაყოფილების გრძნობა ჩემთვის როგორც რედაქტორისათვის, თითქმის უცხოა, მაგრამ ის, რომ გაზეთ „საქართველოდან" „ აზრთა ჭიდილისა და შეხედულებათა დუელის კალამთა პუბლიცისტური ომი ექო" არ ისმის, უპატიოსნო ბრალდებაა, რომ აღარაფერი ვთქვათ შვეიცარის აფციაურისეულ გაგებაზე.

იანვრის პირველივე რიცხვებიდან პირველად გაზეთ „საქართველოში" დაისტამბა იმ პირთა წერილები, რომელთაც თავის დროზე ეს გაზეთი პირველი ჩაუდგა ოპოზიციაში.

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, როცა ყოფილის წარმომადგენლები ფიზიკურად საზოგადოებაში ჯერ კიდევ ვერ ჩნდებოდნენ, გაზეთი „საქართველო" მათ უთმობს დიდ საგაზეთო ფართს.

როგორც ყოფილი ხელისუფლების, ისე ამჟამინდელის დროს პირველად გაზეთ „საქართველოში" ჩნდება რუბრიკა — **„სიტყვა ოპოზიციას"**.

შემოვიღეთ სხვა რუბრიკებიც — **„სიტყვა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთ", „ხმა მესამე ნაპირიდან", „ასე ჩემო მანახეო , ხან ისე და ხან ასეო"**.

რუბრიკით — „პოლემიკა" კი, თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება სხვადასხვა ხასიათის წერილები.

არადა აფციაურის აზრით, „საქართველოდან" აზრთა ჭიდილის ხმა არ ისმის...

გაზეთ „საქართველოში" დაისტამბა მწვავე კრიტიკა იმ ორგანიზაციის თავმჯდომარისა, რომლის ორგანოც ეს გაზეთია. იქნებ მსგავსი მაგალითები ჩვენი სინამდვილიდან სხვაც ბევრი დამისახელოს უფალმა აფციაურმა? გაზეთ „საქართველოში „ არაერთხელ დაიბეჭდა მწვავე კრიტიკა მისივე რედაქტორის, ამ სტიქონების ავტორისა...

აფციაური კი მაინც ღელავს, თქვენს გაზეთში მხოლოდ „შენ ერთის პოზიცია" იგრძნობაო.

როგორც ვნახეთ, გაზეთი განსხვავებული პოზიციის ბეჭდვას არ ერიდება, ხოლო თუ იმავდროულად ჩვენ ჩვენი პოზიცია გვაქვს გამოკვეთილი, ეს ღირსება უნდა იყოს და არა ნაკლი.

ზოგიერთს ასე მიაჩნია, დაე, მკითხველმა მტყუან-მართალი თავად განსაჯოსო. კი ბატონო, ასეც შეიძლება, მხოლოდ, ამ შემთხვევაში, უპრიანი იქნება, რედაქციები საერთოდ გავაუქმოთ, ავტორები პირდაპირ სტამბაში მიიტანენ წერილებს და ყველაფერს ერთი ტექნიკური მუშაკი მიხედავს...

## ბრალდება № 2

უფალი აფციაური წერს: **„მახსოვს ერთ პუბლიკაციაში როგორი ბოდიშის მოხდით, რა ესპანური რევერანსებით მიმართავდით, ვისაც ჯერ არს — კარგია, ბიჭებო, ხელი რომ ჩახმახზე გიდევთ, „ზვიადისტებს" ტვინი უუართ, მიტინგიც მოცლილი ქალების სექსუალური როკვაა, მაგრამ საყვარლებო, ავტომატის ლულა ცოტა მაღლა, ვერტიკალურად დაიჭით, ერთი წუთითაც არ დაივიწყოთ, რომ ჭეშმარიტი დემოკრატი სწორედ ასე იქცევა. შაბაშ, თქვენს სიტყვას!** ლოგიკის ასეთ ციტადელთან პლატონიც კი თავს დახრიდა. მგონი რედაქციაში ილიას სურათი გიკიდიათ, და, ეგება, შეგეხედათ, ამის თქმისას ხომ არ გათეთრდა, ნატყვიარ შუბლზე ხომ არ იტაცა ხელი, ხომ არ წამოიკვნესა? ამის წამკითხავს რაღა დამაძინებდა. მთელი ღამე მამალი დამყიოდა თავზე, საკუთარი კანი მიჭერდა და ვუტრიალებდი ათას საფიქრალსა და მანამდე უფიქრალს. „მაღლა, ბიჭებო, ვერტიკალურად", — ყურში ჩამესმოდა ხმა საშინელი, როგორც ცერბერის ღრენა, როგორც ყეფა საკუთარი სისხლისა".

ვინც ზემოთხაზგასმულ სიტყვებს წაიკითხავს, არშეიძლება „ძილგამკრთალი" აფციაურის აღშფოთებას არ შეუერთდეს და რედაქციას მასთან ერთად ქოქოლა არ აყაროს, მაგრამ ნუ იზამთ ამას, პატივცემულო მკითხველნო, გატყუ[illegible] ლამეგათეული და ღმერთგამწყრალი ჯემალი. **„კარგია, ბიჭებო, ხელი რომ ჩახმახზე გიდევთ"**, ასეთი ან მსგავსი რამ გაზეთ „საქართველოში" არასოდეს არ დაბეჭდილა. პირიქით კი ხშირად გახლდათ. მიტინგების დარბევის ფაქტები უნდა დაგვეგმო და ბუნებრივია, ვგმობდით კიდეც, მაგრამ ამა თუ იმ უარსაყოფ მოვლენაზე თუ პოლიტიკოსი იტყვის სიტყვას — ვგმობ! — ჟურნალისტი, თუ ის ჟურნალისტია, ვთქვათ ასე არ დაწერს: „მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო წესებია ქალაქში შემოღებული, გუშინ მაინც ჩატარდა „ზვიადისტების" მიტინგი. მიტინგი დაარბია „მხედრიონმა" და მილიციის ნაწილებმა. ვგმობ მომიტინგეთა საქციელს და ვგმობ „მხედრიონისა" და მილიციის ნაწილების მოქმედებას".

ჟურნალისტი თუ პუბლიცისტი იგივე აზრს გამოხატავს სხვა სიტყვებით, სხვა ფრაზებით, სხვაგვარი ემოციური მუხტით.

ასე მოხდა იმ შემთხვევაშიც, რომელზეც აფციაური გვიკიჟინებს. ალბათ ყველას გვახსოვს 25 მარტს გამართული ქართველ მწერალთა ყრილობა. გახსოვთ ისიც, რომ ამ ყრილობის დაწყებამდე ჭადრაკის სასახლესთან, (სადაც ყრილობა ტარდებოდა) მოვიდნენ წინასწარ შეგულიანებული ქალბატონები და დაწვეს, დახიეს მწერალთა წიგნები, მათ შორის ბატონ ნ.ნათაძის წინასიტყვით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" (ცხადია რუსთაველს არ ერჩოდნენ, იგი ნოდარ ნათაძის სიძულვილს გადააყოლეს).

რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ ქალბატონების ასეთი „პოლიტიკური" აქცია მოსაწონი იყო?

აქციაზე მოვიდნენ ფორმიანი და თოფიანი კაცებიც. მომიტინგეები ცემა-ტყეპით „დააშოშმინეს" და რამდენჯერმე ისროლეს ჰაერში.

რომელი ჭკუისკოლოფი იტყვის, რომ წესრიგის „დამცველთა" საქციელი იყო მოსაწონი?

ჰოდა, ამ აქტის შემსწრე ჩვენი კორესპონდენტი ერთის მხრივ წერდა:

**„25 მარტს, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მწერალთა ყრილობის მიმდინარეობის დროს, გარეთ საჯაროდ დახიეს წიგნები.**

**ქართული წიგნები.**

**ქართველებმა დახიეს.**

**ამ აქტით გამოხატეს ბატონ ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერა და პროტესტი „თოფიანი, სისხლიანი მწერლების" წინააღმდეგ.**

**დახიეს, დაფხრიწეს და ქუჩაში, მტვერში მოისროლეს..."**

ამ ვანდალურ ფაქტს კორესპონდენტი, ბუნებრივია, უარყოფითად აფასებდა, ანუ გმობდა. შემდეგ კი წერდა—

„სად იყო და სად არა **მოგრიალდნენ** (ხაზი ყველგან ჩემია, ნ.გ.) ფორმიანი და **უფორმო** გვარდიელები (?) რომლებმაც ავტომატების ჰაერში სროლით, ორიოდე მომიტინგის მანქანებში ყო**ჩაღად შეტენვით „დაიცვეს"** მწერლები და მწერლობა. (სროლასთან დაკავშირებით — **მშვიდობიანი მოსახლეობის სახელით მო**ვითხოვთ მსგავსი ოპერაციებისას მეავტომატეებმა რაც შეიძლება

ვერტიკალურად — ლულით ზევით — იხმარონ იარაღი, უბედური შემთხვევა რომ არ მოხდეს)“.

ეს არის და ეს რაც იარაღთან და გვარდიელებთან დაკავშირებით ეწერა აღნიშნულ ინფორმაციაში (იხ. გაზ. „საქართველო“ № 20 (76) 1992წ.)

მტერი ვერ მიხვდეს იმას, რომ ამ ამონარიდში კორესპონდენტი სატირით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მომიტინგე ქალთა წინააღმდეგ „მოგრიალებული“ იარაღიანების მიმართ, ანუ დასცინის (სიცილი კი ზოგჯერ ცრემლზედ უფრო მწარეა, როგორც აკაკი იტყოდა) ანუ გმობს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის საქციელს.

ჭეშმარიტად შარზედ უნდა იყოს ადამიანი, რომ ზემოთწარმოდგენილი ციტატა ასე წარმოგვიდგინოს —

**„მახსოვს ერთ პუბლიკაციაში როგორ ბოდიშის მოხდით და ესპანური რევერანსებით მიმართავდით ვისაც ჯერ არს — კარგია, ბიჭებო, ხელი რომ ჩახმახზე გიდევთ, „ზვიადისტებს“ ტვინი უყართ“ და ა.შ.**

თავის მიერ შეთხზული ინფორმაცია ჯერ რედაქციას მიაწერა აფციაურმა, მერე კი აღშფოთდა და რა აღშფოთდა „ჩვენს“ საქციელზე.

ამის წამკითხავს რაღა დამაძინებდა, საშინელი ხმა და ღრენა ჩამესმოდაო და კიდევ ვინ იცის, რა უბედურება დაემართა ჩემო მკითხველო, მაგრამ როგორც ინფორმაცია შეთხზა და მოგვაწერა, ისე ეს განცდები ჩანს შეთხზული და საკუთარ თავზე მიწერილი, აქაოდა, თვალებგამოღამებული და ქუთუთოებდამძიმებული ვარ ხალხზე ფიქრსა და ზრუნვაშიო.

ამ დალოცვილიშვილს ჩვენ და ხალხი არ ვგონივართ ასე უბოდიშოდ და უსაფუძვლოდ რომ გვიმხედრებს მკითხველს?

მეტი არ იყოს ჩემი მტერი, აფციაურს სხვის გასაჭირზე ფიქრით ძილი დაეკარგოს, ასეთი მონდომებული თუა, ერთხელ თავად დაეწერა და რომელიმე რედაქციაში მიეტანა წერილი, ესა და ეს მიტინგი ასე და ასე დაარბიესო.

მაგრამ ეს რა პროფესორ აფციაურის საქმეა. მისი უგანათლებულესობა სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით არის დაკავებული, რაზედაც ქვემოთ მექნება საუბარი...

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, იმ დასკვნის გამოტანა რასაც აფციაური გვთავაზობს — „კარგია ბიჭებო“ და ა.შ. შეუძლებელი უნდა იყოს. მაშ რამ ალაშფოთა, რამ გაუფრთხო ძილი, რამ გაამძვინვარა და რამ „წამოაფრენინა თეთრი მერცხალივით წერილი მაგიდიდან“ ბატონ აფციაურს?

ნათქვამია, ქურდი დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო. მოვუსმინოთ „მერცხალას“ ავტორს და თავად გვეტყვის.

## ბრალდება № 3

**„...იმ დღეს აკი შევცდი და ერთი წერილი რამ შემოვაფრინე თქვენს რედაქციაში. (იმ დღეს მე რედაქციაში გვიან მივედი და ჩემი თვალით არ მინახავს, თუ როგორ „შემოაფრინა“ პროფესორმა აფციაურმა წერილი. ნ.გ.) ის მანდ იყო, მე სახლში და გინდ დამიჯერეთ, გინდ არა — იქ მომესმა იმისი გმინვა და გოდება — მოდი, დამკლეს, დამასაჭურისეს, ცალი მხარი ჩამომთიბეს და იმ ერთითლა ვარ, ახლისკენ რომ მქონდა მოქცეულიო, მივედი, ვნახე და რას ვხედავ, მელნით შემოხაზულ გალიებში სხედან ნახევარზე მეტი აზრები. ეტაპში გასაგზავნი პატიმრებივით მოუწყენიათ და იმ ჩემი ნაკალმევიდან თავკუდილა ჰკიდია, მივაბ-მოვაბი იმ მარტვილის სისხლიანი ნაფლეთნაგლეჯი, და „კაბადონში“ დავბეჭდე. სათაური კი ასეთი ჰქონდა „როდემდის ვთესოთ სიძულვილი“... აბა ყური დაუგდეთ რა წმინდა ხმით რეკავენ ეს სიტყვები.**

**იქნება კითხოთ „კაბადონის“ რედაქტორს, რა ნახა ამ წერილში ისეთი არსანახავი, რომ თქვენ, ახლის ერთგულთ და ეგზურთ, კეფაზედაც კი თვალები გამოგასხათ და შიშს მიგცათ?**

**ამაზე ითქმის სწორედ მეტმა ერთგულებამ რა მიყოო...“**

ახლა ვიკითხოთ, ვთქვათ მთავრობისადმი შიშსა თუ ერთგულებას გამოესხა ჩემთვის „კეფაზე თვალები“ (რატომ ღმერთი არ გაიცინებს), რა საშიში ამბავი უნდა დამენახა ამ ჩვენი ჭკუისმასწავლებლის წერილში?

რა უნდა ყოფილიყო მაინც იმისთანა „კაბადონმა“ რომ „შესძლო“ მისი დაბეჭდვა და „საქართველომ“ „ვერ გაბედა“?..

აი, რა ყოფილა — **როდემდე ვთესოთ სიძულვილი, ანუ სიძულვილს სიყვარული სჯობიაო.** საკვირველი სწორედ ის არის, ამ მშვენიერი, ბუნებრივი, და ყოვლად უმტკივნეულო აზრის გამოთქმა ჯემალ ბატონს დიდ გაბედულებად რომ მიაჩნია...

კი მაგრამ, აფციაურო, კანიბალების ქვეყანაში ხომ არ ვცხოვრობთ, ასეთი აზრების დასტამბვა რომ საშიში რამ გგონიათ და ჩემი სიმფრთხალით ხსნით წერილის უკან გატანებას?

არადა, მე-3 ბრალდებით ბატონი ჯემალი ნაწილობრივ მართალია ჩემთან. მისი წერილი „როდემდის ვთესოთ სიძულვილი“ გაზეთ „საქართველოში“ მართლაც არ დაიბეჭდა, ცხადია, ჩემი მიზეზით. მაგრამ მის ადგილზე ჭკვიანი კაცი ამას არ გაახმაურებდა, მით უფრო, მიზეზების ძებნას არ დაიწყებდა საჯაროდ, შესახებ იმისა, თუ მის წერილს რატომ ეთქვა უარი, ანუ ფიგურალურად თუ ვიტყვით, საკუთარ დასაკლავ დანას თავად არ გალესავდა.

„ამაზე ითქმის სწორედ მეტმა მონდომებამ რა მიყოო“.

## „შენ რომ წიგნი მოგეწერა, რა ღირს ვიყავ აგრე ტკბილსა“...

ერთ არამშვენიერ დღეს რედაქციაში რომ მივედი, ის-ის იყო ახალი „შემოფრენილი“ წერილი დამხვდა, მისი ავტორი კი ახალი „გაფრენილი“ გახლდათ. რედაქციის თანამშრომელმა მითხრა, აფციაური გელოდა, წერილი დაგიტოვაო.

მართალი რომ ვთქვა, არ გამხარებია, არ მითქვამს ბატონ ჯემალის მისამართით —

**„შენ რომ წიგნი მოგეწერა, რა ღირს ვიყავ აგრე ტკბილსა.**

**. . . . . . . . . . . . . . .**

**ამა წიგნსა შენეულსა ვაკოცებ და მოვსჴამ პირსა,**

**სუფრაზედაც წინ დავიდებ, არ ვაღირსებ თვალთა ძილსა“**

თქმით კი თანამშრომელს ის ვუთხარი, რომ მაგ წერილს არ წავიკითხავ, დაუბრუნე აფციაურს — მეთქი. (ასე რომ, წერილი არავის „დაუსაჭურისებია“, ამ მხრივაც გამოგონილი ინფორმაციის გამო გოდებს ჩვენი ოპონენტი) ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, ბატონმა ჯემალმა იძულებული გამხადა ავუხსნა მას ჩემი მაშინდელი „არაეთიკური“ საქციელის ეთიკური მოტივები...

საქმე იმაში გახლავთ, რომ შარშან ზაფხულამდე ბატონ ჯემალ აფციაურისადმი მოკრძალებული და უმცროს კოლეგას რომ შეჰფერის უფროსისადმი, ისეთი, ნორმალური, ადამიანური დამოკიდებულება მქონდა. არც შემდეგ დაგვიშავებია პიროვნულად ერთურთისადმი რაიმე, მაგრამ გასული წლის ზაფხულში მან ხალხის წინაშე დააშავა, იმ ხალხისა, რომელზე ზრუნვითაც დრო და დრო ძილი უკრთება ხოლმე...

მას შემდეგ ამ კაცის აქტიურობა რადიოთი და პრესით ყოველთვის გამაღიზიანებელი ჩანდა, რადგან საინფორმაციო საშუალებებს შეუძლიათ პიროვნების პოპულარიზაცია, პოპულარული პიროვნება კი, თუ უსინდისობის ჩამდენია, უფრო იოლად და დაუსჯელად მოახერხებს ამას. აფციაურის პოპულარიზაციას მე ხელს ვერ შევუწყობდი, მისი წერილიც, ამდენად, არ მსურდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილიყო.

თან მხილებისთვისაც ვერ ვიმეტებდი ჯემალ ბატონს, მაგრამ როცა გაზეთ „შანსში“ თ.ქორიძესთან კამათისას მან განაცხადა: **„რაც დამიწერია, დიახაც მაღალხარისხოვანი დამიწერია“-ო,** — გამეღიმა.

ცოტა ქვემოთ იმავე ქორიძეს მიმართავს **„ამ ცილისწამებას ისა სჯობდა, ჩემთან მოსულიყავით, ზრდილობაში გავარჯიშებდითო“** — იქვე კი თავად ზრდილობის ასეთი „მარგალიტები“ დაახვავა:

**„გურჯაანში ერთი კახელი მეორეს ასე ემუქრებოდა, დააჲე, ბიჭო, თორე ისე გაგხადო, როგორც ბლი კურკაო... იმ კახელივით მინდა შემოგძახოთ, დააჲე, ბიჭო...“**

ახლა მეორე „მარგალიტი“ ვნახოთ:

„ზურგსუკან ჩურჩულსა და დედაკაცურ ქირდვას ისა სჯობია, საქმეს მიხედონ, **ანუ დააჲენონ“** — ამ სიტყვებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების მისამართით ხმარობს ეს ჩვენი ზრდილობის მასწავლებელი...

მესამე „მარგალიტი“ —

**„არ მინდა, რომ თემურ ქორიძე შემომეჭამოს, სადა მაქვს კბილების ჩიჩქნის დრო“.**

ამეების წაკითხვის შემდეგაც არ გამჩენია სურვილი აფციაურის კბილებიდან ქორიძე გამომეგლიჯა, მაგრამ როცა ეს საჯარო სტრიქონები წავიკითხე ჯემალ ბატონისა — **„ჩემგან ჩადენილი რა უპატიოსნობა გაგიგიათ? მე კაცურ კაცად მიცნობენ, ულალატო კაცად“-ო „ჩემს პერსონას რეაბილიტაცია არ სჭირდება“-ო** და ა.შ.

უკვე აღვშფოთდი და ამ წერილის დაწერაც მაშინ გადავწყვიტე. გადავწყვიტე, მკითხველისათვის მომეთხრო, აფციაურისაგან ჩადენილი რა უპატიოსნებაც გამიგია.

მზად ვარ ყველა სიტყვაზე ვაგო პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ჯემალი იმუქრება — დააჲენონ თორე შემომეჭმებიანო, სხვათა შორის საკუთარ თავზე ასეთ რამესაც წერს—

**„ხელს ნუ შეახებთ მაღალი ძაბვის ელექტროსადენს“-ო.**

ახლა კი ბატონო „მაღალი ძაბვის ელექტროსადენო“, შევცვალოთ როლები და თქვენ გაზეთ „საქართველოს“ ბრალმდებელი, ცოტა ხნით ბრალდებულის სკამზე უნდა დაგსვათ. მაშ ასე:

## ბრალდება № 1

პატივცემულო საზოგადოებავ, ბატონებო და ქალბატონებო, ეს ვაჟბატონი, („მაღალი ძაბვის ელექტროსადენი“) გახლავთ ცნობილი რეპეტიტორი, მის ხელში ასეულობით აბიტურიენტია გავლილი. გთხოვთ მცირე ხნით ნუ აღშფოთდებით, რეპეტიტორობას ბატონ ჯემალს დანაშაულად როდი ვუთვლი, პირიქით, სამადლო საქმეც არის (ცხადია, თუ იმ სტილით წერას არ ასწავლის ბავშვებს, თავად რომ გააჩნია).

ჰოდა, ამ რამდენიმე წლის წინ, კომუნისტური რეჟიმის დროში, მთელი კავშირის მასშტაბით ჯვაროსნული ბრძოლა გაჩაღდა რეპეტიტორების, ამ კატორღულ შრომაში შებმული ინტელიგენტების წინააღმდეგ. საქართველოში რეპეტიტორების წინააღმდეგ მებრძოლ ფინაგენტთა წინა ხაზზე იდეოლოგიურ სარდლად დადგა ცნობილი რეპეტიტორი ჯემალ აფციაური... (აფციაურის პასუხის შემთხვევაში წარმოგიდგენთ დოკუმენტურ მასალებს).

ჯემალ აფციაურმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ის კოლეგები, რომელთაც პირდაპირ შურდათ თვით აფციაურის აბიტურიენტთა სიუხვე...

ბატონი ჯემალი კი ამტკიცებს „მე კაცურ კაცად მიცნობენ, ულალატო კაცად“-ო.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

## ბრალდებასავით № 2

ჩვენი ოპონენტი საყვედურით ამბობს: **„მდედრის ქვედა საცვალთა საკითხი, ლამის წამყვანი თემა გახდა დღევანდელ პოზიციონერთა მღვრიე პუბლიცისტიკისა და ტელე-რადიო გამოსვლებისა“.** მანამდე კი შეგვახსენებს — **„ქართველი კაცი მუდამ რაინდული ღირსებით ეპყრობოდა ქალს — მზის უმცროს დას“.** აფციაურის ამ მშვენიერმა შეგონებამ ერთი ამბავი გამახს[illegible]

გასულ წელს მე და [illegible] ოპონენტი ერთად ვმუშაობდით სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების კომისიაში.

აფციაური ერთ ჩვენს კოლეგასთან მივიდა და რაღაცასთან დაკავშირებით უთხრა, ჩემო იმანო, ჩვენ ერთმანეთის ძმები ვართ, ორივე ნაციხარი ხალხი ვართო.

ის კაცი ერთი ჩუმი, მორიდებული, ღრმადგანსწავლული ფილოლოგია. აფციაურს რიდით ვერაფერი უთხრა, ისე კი შეურაცხყოფისა გამო კინაღამ გულზე გასკდა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ ჩემი მეგობარი ფილოლოგი, 1978 წელს სამშობლოს სიყვარულისთვის, პოლიტიკურ-დისიდენტური მოღვაწეობისთვის, დააპატიმრეს და კაი საქმეზე იჯდა, ეს ჩვენი ძალად მაცხონე ძმაი კი „მზის უმცროს დასთან“ დაკავშირებულ საკითხზე დააკავეს... (ოპონენტის პასუხის შემთხვევაში დოკუმენტებს წარმოგიდგენთ...) არ ვიცი ტყუილი თუ მართალი, მაგრამ ისეთი პიკანტური ბრალდებით კი, რომელი ბრალდებითაც ჯერ ვგონებ ამ დუნიაზე არავინ დაუჭერიათ...

ყოფილ პატიმარს ამიტომ ეწყინა ყოფილი პატიმრის „შეამხანაგება“... ისე იქნებ ტყუილიც იყო ის ბრალდება, მართალი რომ იყოს, ბატონი ჯემალი ხომ არ დაწერდა „ჩემგან ჩადენილი რა უპატიოსნობა გაგიგიათ“-ო?..

## ბრალდება № 3

ბატონებო და ქალბატონებო, როგორც გითხარით მე და ბატონი ჯემალი ერთად ვიყავით შარშან გამოცდებზე. გამოცდები, მოგეხსენებათ ივლის-აგვისტოს თვეში ტარდება. შემოდგომაზე კი პრეზიდენტს ბატონი ჯემალ აფციაურის უნივერსიტეტის პრორექტორად დანიშვნა განუზრახავს.

ალბათ იფიქრებთ, როგორც ჩანს აფციაურმა უმწიკვლოდ იმუშავა და პრეზიდენტს ამაგის დაფასება სურდაო.

არ იფიქროთ!

აფციაურმა უმწიკვლოდ არ იმუშავა!

ალბათ იფიქრებთ, პრეზიდენტს დანაშაულჩადენილი პრორექტორი სურდა, უფრო მაგრად რომ ჰყოლოდა ხელშიო.

არ იფიქროთ!

ასეთი რამ პრეზიდენტს არ სურდა, აფციაურთან ამას ისეც მოახერხებდა...

მაშ რა მოხდა?

მომითმინეთ და ყველაფერს მოგიყვებით.

შარშან ბატონ თემურ ქორიძეს, რომელიც აფციაურთან კამათში აბსოლუტურად მართალია, რატომღაც თვალში არ მოუვიდა ქართულის კომისიის თავმჯდომარე ბატონი კორნელი დანელია, ამიტომ ქართულის კომისიაზე ასი თვალი და ასი ყური იყო მობჯენილი.

ბატონი კორნელი, ჩემის ფიქრით, ერთ-ერთი შესანიშნავი მეცნიერი და პატიოსანი მოქა-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფციაური, ს ვეშჩამი!..

(დასასრული)

ლაქეა, გამოცდებიც, რაც მე ვნახე, მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარდა, მაგრამ ბოლოს მაინც შევრცხვით...

განათლების სამინისტრომ გამოგზავნა კომისია, რომელმაც გადაამოწმა ჩვენს მიერ გასწორებული ნაწერები.

რამდენიმე ათას ნაწერში აღმოჩნდა თუ არ ვცდები ოთხი საგანგაშო დარღვევა. ერთ-ერთი თემა არაობიექტურად ნასწორები და ნიშანწამატებული გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო განათლებაშიც".

როგორც გაირკვა, გამსწორებლისათვის ამ „რისკიანი ნაბიჯის" გადადგმა უთხოვია ბატონ ჯემალ აფციაურს...

მაგრამ ეს არაფერია.

თხოვნისათვის კაცზე აუგი არ უნდა ვთქვათ. ზაფხულში ნახევარი საქართველო დარისპანივით კარდაკარ დადის...

საქმე ის არის, რომ პრესაში არ გამოქვეყნდა კიდევ ერთი თემა, რომელსაც წამატებული აქვს არა ერთი და ორი, არამედ სამი ქულა. იურიდიული ფაკულტეტის აბიტურიენტს ნაცვლად 5 ქულისა, დაეწერა 8 ქულა, ანუ ორნახევარზე შესრულებულმა ნაშრომმა „დაიმსახურა" ოთხიანი. **ეს თემა გაასწორა და ნიშანი დაუსვა ბატონმა ჯემალ აფციაურმა.**

(ოპონენტის პასუხის შემთხვევაში, თემას მისი ხელმოწერით წარმოვადგენ)

იმ დღეს ნამუშაკევით კმაყოფილმა „გამომცდელმა" კარგი ამბავი მიიტანა შინ...

მაგრამ, როგორც გითხარით, განათლების სამინისტრომ მინისტრის, ბატონ ელიზბარ ჯაველიძის დავალებით და პროფესიონალი კაცის, ბატონ **ჯონდო ბარდაველიძის** თავმჯდომარეობით ნაწერები გადაამოწმა.

მოხდა მოსახდენი...

აღნიშნული თემა კომისიის მსჯელობის საგნად იქცა...

ეს ყველაფერი 1991 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის პირველ რიცხვებში ხდება.

რა ქნას გაჭირვებაში ჩავარდნილმა აფციაურმა?

ჯერ თქვა, ნიშნის აწევა კომისიის წევრმა, ამა და ამ ქალბატონმა მთხოვაო. დაპირისპირებისას გაირკვა, რომ ის ქალბატონი არაფერ შუაში არ იყო და აფციაური მისგან ერთი კარგად იქნა გამოლანძღული...

შემდეგ კი პირდაპირ საშამათო სვლა გათამაშდა.

1991 წლის 6 სექტემბერს, 2 სექტემბრიდან 4 დღის შემდეგ, გაზეთ „თბილისში" ქვეყნდება ჯემალ აფციაურის წერილი **„ბრძანეთ პრეზიდენტო".**

წერილში ვკითხულობთ: **„ბატონი ზვიადის განვლილი ცხოვრება ჰეროიკული, დრამატული პოემაა, დევის რაშზე ჩამომჯდარი მზეჭაბუკის გმირობაა". „რა აქვს შესაშური ბატონ ზვიადს, ამდენი მურმანით გარშემორტყმულ აბესალომს? რა აქვს შესაშური დევთა და გველეშაპთა საუფლოში უკვდავების წყალზე გაგზავნილ მზეჭაბუკს?"**

**„ხელი შევუწყოთ (პრეზიდენტს) ჩვენი პატიოსნებით, სიწმინდით, პროფესიონალიზმით,** დამბაჩასავით რომ დაცლით ხოლმე მიტინგებზე მის კრიტიკას და ათას ბრალდებას აშვებული ნაგაზებივით მიუშვებენ მის სახელსა და გვარს... დააცადეთ,. მოისმინოს და გაიგონოს, რას **ეტყვის-ხოლმე ღმერთი.."**

ამ „პატარა" ეშმაკობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. პრეზიდენტმა იფიქრა, ეს რა კაცი მყოლია ამ პუტჩისტების უნივერსიტეტშიო, „ერთგულება" დაუფასა და მისი გაპრორექტორება გადაწყვიტა.

(ასე უნდა ცხოვრება. ვახტანგ გოგუაძე რომ იყო მართლა პატიოსანი და მართლა პროფესიონალი, რა არგო ამ პატიოსნებამ? როგორი ჯიბეცარიელი და უბინაოც დაჯდა უნივერსიტეტის პრორექტორად, ისეთივე ჯიბეცარიელი და უბინაო მოხსნეს იქიდან)...

ერთი სიტყვით, ბატონ ჯემალის საშამათო სვლამ კინაღამ გაამართლა, მაგრამ დახეთ უბედურებას.

ბატონმა თემურ ქორიძემ არ გააჩერა ენა და პრეზიდენტს უთხრა აფციაურის საგამოცდო მარცხის ამბავი...

ამით უნივერსიტეტი აფციაურის პრორექტორობას გადარჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, „თბილისში" გამოქვეყნებული სტატიის გამო, აღარ გახმაურდა და გადარჩა აფციაურის სახელიც...

თავად რომ არ აეტეხა ამ დროში დიდი ამბავი თავის უმწიკვლობაზე, ეგების სამუდამოდ გადარჩენილიყო...

თუმცა ჯ.აფციაური იხტიბარს არ იტეხს და ლამისაა წამებულადაც კი წარმოგვიდგენს თავს. ვილაც-ვილაცეებს ჩემი ჯინი სჭირდათ და ის კომისია იმიტომ გამოყვესო, „მატლოდან" დაბრუნებული გაკიცხული ბავშვივით იმართლებს თავს, სხვებმა ჩემზე უარესი ჩაიდინესო...

კიდევ ერთი ქვისგამხეთქავი არგუმენტი აქვს ჩვენს გამომცდელს. რა მოხდა, ხეიბარ ბავშვს მივეხმარეო. ღმერთმა უწყის ის ბავშვი ხეიბარია თუ არა, მაგრამ ასეც რომ იყოს, იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელი, უცოდინართან ერთად ხეიბარიც თუ იქნება, ვითომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ამით უფრო ღირსეულ ცვლას მიიღებენ?

დაბოლოს, ერთ საიდუმლოსაც უნდა ავხადო ფარდა.

მისაღებ გამოცდებზე შეფასებას 5-ს წერს კომისიის თავმჯდომარე, შეფასებას — 4-ს წერს მოადგილე. რიგით წევრს 5-ის ან 4-ის დაწერის უფლება არ აქვს, მას მხოლოდ ნაწერის წარდგენა შეუძლია.

აღნიშნული თემა კომისიის რიგითმა წევრმა ჯ.აფციაურმა არც თავმჯდომარეს აჩვენა და არც მოადგილეს, შეფასება 4 მან თვითონ გააფორმა. წერითი გამოცდების ისტორიას ბევრი უბედურება ახსოვს, მაგრამ მსგავსი რამ ალბათ არა! ეს არის რისკი საციხე საქმისათვის...

ამით დავემშვიდობებოდი გადაღლილ მკითხველს, მაგრამ კაცი პირდაპირ ციხის კარებთან მყავს მიტოვებული და გაწირვაც არ ეგების, მე თვითონ უნდა ვიხსნა როგორმე.

## „ჩემს პერსონას რეაბილიტაცია არ სჭირდება"

დავიწყოთ იმით, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილ ბრალდებას შეიძლება მოეძებნოს გამამართლებელი გარემოებანი.

მაგალითად, ვინ იტყვის დარწმუნებით, რომ როდესაც ბატონი ჯემალ აფციაური რეპეტიტორების წინააღმდეგ ილაშქრებდა, მიზნად არ ჰქონდა კოლეგებს შორის, თუნდაც საკუთარი ავტორიტეტის შელანძღვის ხარჯზე, შეეტანა რევოლუციური მუხტი. ინტელიგენცია, რომელიც მიხვდებოდა, რომ ჯ.აფციაური მთავრობის დავალებით მოქმედებდა, პირველ ყოვლისა, გაღიზიანდებოდა თვით მთავრობაზე. ანტირეპეტიტორული კომპანიით კომუნისტურ რეჟიმს მოუმრავლდებოდა უკმაყოფილო ელემენტები ინტელიგენციაში, რაც საბოლოო ჯამში საერთო ეროვნული საქმისათვის დადებითი მოვლენა იქნებოდა. ასე რომ, არ არის გამორიცხული ბატონ ჯემალს სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნები ამოძრავებდა კოლეგების შეჩვენების დროს!..

რაც შეეხება აფციაურის საგამოცდო მარცხს.

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში სწავლის უფლება აქვს ნებისმიერ ახალგაზრდას და არავის შეუძლია წაართვას ეს უფლება ჩვენთან კი ე.წ. კონკურსის გამო, ფასიანი სასწავლებლების შემოღებამდე, ახალგაზრების ნაწილი ამ უფლების განხორციელების გარეშე რჩებოდნენ. უმაღლესში ვერ ხვდებოდა თუნდაც სუსტი ცოდნის გამო ბევრი აბიტურიენტი, რომელნიც, ჩარიცხვის შემთხვევაში, შესაძლოა, სწორედ სამაგალითონიც გამხდარიყვნენ. არ არის გამორიცხული რომ ჩვენი ცხოვრების ამ „უკუღმართ" წესს ბატონმა ჯემალ აფციაურმა აღნიშნული ქმედებით იდუმალ ჩასცა ლახვარი...

ახლა კი ამ სამადლობელ საქმისთვის ეს პატიოსანი კაცი ლამის ციხის კედელთან დამრჩა მიტოვებული.

რა უნდა მას იქ, რა დააშავა?

იქნებ ჩვენ ვცდებით კაცის საქციელის ნაჩქარევ შეფასებისას?

კი, ასე ფიქრობს თვითონაც აწ უკვე კერძო ინსტიტუტის რექტორი(!?)

აკი წერს კიდეც: **„მე კაცურ კაცად მიცნობენ, ულალატო კაცად, და თქვენ ამ თვისებებით ლტაკთ ეს ხომ არ გაღიზიანებთ? ჩემს პერსონას რეაბილიტაცია არ სჭირდება, სარეაბილიტაციო თქვენა გჭირთ".**

ვიდრე კიდევ იტყოდეს რამეს, რაც აქამდე ვაშავე, დროზე უნდა გამოვასწორო.

სრული თავისუფლება ბატონ ჯემალს.

აფციაური, ს ვეშჩამი!..

# ხეობას დაცლა არ ემუქრება

ცხინვალის რეგიონში ატეხილი კონფლიქტის გამო აგერ უკვე სამი წელია ლიახვის ხეობაში თავისუფლად შესვლა ჭირს. სოფელ ერედვიდან ხეითისაკენ მიმავალი ახლადგაჭრილი გზა ხშირ ტყეზე გადის. მიუხედავად უდიდესი საფრთხისა, გზაზე სატვირთო მანქანების ნაკადი არ წყდება, გზის მოხრეშვა მიმდინარეობს.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დაგომისში მიღწეული შეთანხმება ორივე მხარისთვის სავალდებულო უნდა იყოს, მაგრამ როგორც ჩანს, ოსები ამას არად დაგიდევენ. მართალია, არაინტენსიურად, მაგრამ მაინც ისვრიან. ოსთა ბანდები თავს ესხმიან ქართულ სოფლებს და იტაცებენ საქონელსა და მძევლებს.

რა სამწუხაროა, რომ მშვენიერ ხეობაში სიკვდილი მეფობს.

აქა-იქ ჩამწვარი სახლები, ოსების მხრიდან გამოსროლილი რაკეტებისაგან ჩამონგრეული კედლები და ტყვიებით დაცხრილული კარ-ფანჯრები ხეობაში გამვლელს უდიდეს საფრთხეზე მიანიშნებს, მაგრამ ცხოვრება ამ სოფლებში მაინც გრძელდება. ორი დღის განმავლობაში მოვიარე ლიახვის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე გაშენებული ცხრა ქართული სოფელი თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ხეითი, ძარწემი, ქემერტი და სვერი და უნდა ვაღიარო, რომ მთელ საქართველოში. ამაზე უფრო ჯიუტი და გაუტეხელი ხალხი არსად შემხვედრია. ეს ადამიანები თითქმის ერთნაირად ფიქრობენ საერთო სატკივარზე და მხარში უდგანან ერთმანეთს, თუ არ ჩავთვლით იმათ, ვინც დედა-ბუდიანად აიყარნენ, სახლის კარი გამოკეტეს და თბილისს შეეკედლნენ სამაჩაბლოდან ლტოლვილების სახით.

აი, რა მითხრეს შებინდებისას გზაზე თავშეყრილმა კეხველებმა, მათ საუბარს უკომენტაროდ გადმოგცემთ: — თბილისის სასტუმროებში თბილად რომ არიან მოკალათებულები კუნთმაგარი კაცები და „ქაშის" ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ, აქ ჩამოვიდნენ და საკუთარი სახლ-კარი დაიცვან ის ურჩევნიათ. ამ სოფლის მკვიდრი ქალაქს გარბიხარ, იქაური კაცი და გვარდიელი აქ ჩამოდიან. სამაჩაბლოს დასაცავად, ეს სადაური ამბავია?! კი ბატონო, გაარიდონ ქალები და ბავშვები, მაგრამ ეს კაცები სადღა გარბიან? ამაში მთავრობაც სტყუის. რატომ აძლევს ფულად დახმარებას თბილისში გაქცეულებს? იმ ფულით ისინი თურქეთში დაბრძანდებიან და ვაჭრობენ. მაგათ, ქართული მიწა ენაღვლებათ განა?! ჩვენც რომ ეგრე გვეფიქრა, ხეობა დიდი ხნის დაცლილი იქნებოდა და აქაც, ეხლა სადაც ვდგავართ ოსი იდგებოდა და არა ჩვენ. რამოდენიმე კაცია, ვისზეც საყვედური არ გვეთქმის, სხვას არავის ვენაღვლებით. რას ფიქრობენ დანარჩენები იქ, მთავრობაში რომ სხედან? გავიტანჯეთ სამი წელია, დღე არ არის ჩვენთვის და ღამე. ხანდახან ტანსაცმლის გამოცვლასაც კი ვერ ვახერხებთ, „აკოფებში" ვაგდივართ თოვლსა და ტალახში. დროებითი მთავრობა ჰქვია, თუ როგორც არის, ერთი სათხოვარი გვაქვს მაგათთან ხეობის თითოეულ მცხოვრებს, როგორც თავის თავზე ფიქრობენ, თავის ოჯახზე ზრუნავენ, ისე მოგვექცნენ ჩვენც... ეს ორი თვეა გვარდია შემოგვეშველა, ვიფიქრეთ, ცოტა ამოვისუნთქებთო, მაგრამ ვინ დაგაცალა. ეგენიც არ მოასვენეს, ყაჩაღებად და მკვლელებად მონათლეს. ქალაქშიც ჩავედით და ვითხოვეთ, ყარყარაშვილი დააბრუნეთო, მაგრამ, აბა, სად არის? გვარდია აქ რომ დგას ხეობა დაცულია, მაგრამ ხომ ხედავთ სროლა მაინც გრძელდება. ყარყარაშვილი აქ რომ იყო, ამდენს ვერ ბედავდნენ ოსები. ალბათ, იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე... ეხლა ამბობენ, შერიგებაზეა ლაპარაკი, დროებით საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნათო, დროის მოგებას ცდილობენ, რაღაცა ხრიკებია... თქვენ რომ მაგათი სამხედრო იარაღი და ტექნიკა გაჩვენათ... ვერტალიოტები თუ ქვემეხები, რომელი ერთი გინდათ, ავტომატებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეგეთი იარაღი რომ გვქონოდა, საქმე აქამდე კი არ მივიდოდა. ვიღაცამ ხომ უნდა იზრუნოს ამაზე?

ზემოთ ვთქვი, რომ ხეობელებზე უფრო ჯიუტი და გაუტეხელი ხალხი არ მინახავსმეთქი. დიდსაც და პატარასაც თითქოს პირი შეუკრავთო ხეობაში, ყველა ერთნაირად ფიქრობს — დავიხოცებით და აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით, ამ მოვლილ ბაღ-ვენახებს ოსებს არ ჩავუგდებთ ხელშიო.

მეტსაც გეტყვით. ლიახვის გაღმა, სოფელ ქემერტში თბილისიდან ჩასული მოხალისეებიც ვნახე. ერთ-ერთი მათგანი, თამაზ ლომსაძე, თითქმის ორი წელია, რაც ხეობაშია ჩასული და სამაჩაბლოს მიწას იცავს. აქაურები მას შინაურ კაცად თვლიან და პატივსაც სცემენ. ხეობის მკვიდრთა საყვედური ჭეშმარიტად სამართლიანია, როცა თბილისში მოწყალების სათხოვნელად გაქცეულ თანასოფლელებს საქციელს უწუნებენ. თამარაშენის მიწას, უპირველეს ყოვლისა, თამარაშენის მცხოვრები უნდა იცავდეს და მერე გვარდიელი ანდა მოხალისე. მებრძოლი.

პროდუქტებზე და საყოფაცხოვრებო პრობლემებზე აქაურები, მიუხედავად იმისა, რომ უჭირთ, არ ჩივიან. ყველაზე მეტად ერთი რამ აღარდებთ. უგზოობის გამო უამრავი ვაშლი უფუჭდებათ. თამარაშენში მარტო ერთ ოჯახს, 180 ყუთი ვაშლი გაუფუჭდა გასულ წელს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთ ყუთში 20—25 კილოგრამი ეტევა, ადვილი მისახვედრია რამხელა ზარალს ღებულობენ ამ სოფლის მკვიდრნი. არადა, ვაშლი მათი არსებობის წყაროა. ხომ შეიძლება რაღაც ფორმა მოინახოს და მთავრობამ ვაშლი ან ადგილზევე გადაამუშაოს ანდა ჩაიბაროს გლეხებისაგან.

... ხეობიდან დაბრუნებულებმა მეღვრეკისში ჩავიარეთ. სოფელი დედისერთა შვილს, უჭკვიანეს ადამიანსა და მამაც მებრძოლს დათო ნადირაძეს აცილებდა უკანასკნელ გზაზე. იგი ტელევიზიასთან 24 ივნისს დაიღუპა ქართველის ხელით. გულდამძიმებულებმა დავტოვეთ შიდა ქართლის მიწა და თბილისს გამოვემგზავრეთ.

მარინა ტლაშაძე

# როცა დუმილი თანხმობის ნიშანია!

მიხეილ მახარაძე

მკითხველს კარგად მოეხსენება, თუ რა დიდი აჟიოტაჟი ახლდა თან გასულ წელს აჭარის უზენაესი საბჭოს საარჩევნო პერიპეტიებს საარჩევნო კანონით დაწყებული უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელთა არჩევნებით დამთავრებული.

შეუდგა თუ არა საქმიანობას გასული წლის ივლისის თვეში ახლადარჩეული აჭარის უზენაესი საბჭო, იმთავითვე გამოიკვეთა აშკარა დაპირისპირება აჭარის უზენაესი საბჭოს ხელისუფლებასა და ბლოკ „აჭარას" დეპუტატთა შორის. საბოლოოდ ჩამოყალიბდა საპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც მხარს უჭერს დეპუტატთა საკმაოდ დიდი ნაწილი.

ისიც კარგადაა ცნობილი, რომ 1991 წლის ოქტომბრის შემდეგ, მხოლოდ 7 თვის შემდეგ იქნა მოწვეული აჭარის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა (20—21 მაისი). ვინც ამ სხდომებს ადევნებდა თვალყურს დაგვეთანხმება, რომ აჭარის უზენაეს საბჭოში ერთ მხარესაა ხელისუფლების მომხრეთა, კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ნაკლებად დაინტერესებული მორჩილი უმრავლესობა 3—4 აგრესიული დეპუტატით, ხოლო მეორე მხარეს სათანადო ცოდნით კარგად აღჭურვილი საპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლაში პირწმინდად სჯობნის მოწინააღმდეგეს. შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ აჭარის უზენაესი საბჭოს სესიის იშვიათი სხდომები საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს სხდომების მინიატურული განმეორებაა. ამის შემხედვარეს კი აღარ გაგიკვირდება,თუ რატომ ცდილობდა და ცდილობს აჭარის ხელისუფლება სესიის სხდომების გადადებას თუ ჩაშლას.

წერილის მიზანს სულაც არ შეადგენს აჭარის უზენაესი საბჭოს საქმიანობის ავ-კარგის განსჯა. ამჟამად, უპირველესად, იმ დეპუტატთა პოზიცია (უფრო პოზიციის არქონა!) გვაინტერესებს, რომლებიც თავიანთი დუმილით აჭარის ხელისუფალთ, ნებით თუ უნებლიედ, არაკონსტიტუციური ქმედებისაკენ უბიძგებენ. არადა, ამ დეპუტატთა შორის არიან ცნობილი მეცნიერები და მწერლები, პოპულარული მსახიობი და კიდევ სხვები, რომელთაც ძალიან კარგად იცნობენ საქართველოში და რომელთა გვარების მოხსენიება ამ კონტექსტით მათ ნაცვლად მე მერიდება. განა დამაფიქრებელი არაა ის გარემოება, რომ ამდენი შეხლა-შემოხლაა ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის და ამ დეპუტატთაგან თითქმის არავინ გამოხატავს თავის პრინციპულ პოზიციას. ვიმეორებ, ასეთ დროს დუმილი თანხმობისა და არაკანონიერი ქმედების მხარდაჭერის ტოლფასია.

ზემოთქმულს ნათლად ადასტურებს ბოლოდროინდელი, შეიძლება ითქვას, უკვე გახმაურებული ამბავი. კერძოდ, ჯერ იყო და აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 3 ივნისს დანიშნული სესიის მორიგი სხდომა გადაიტანა. ამის შემდეგ კი სულ 68 დეპუტატიდან 42-მა განცხადებით მიმართა აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს თავიანთი უფლებამოსილების პრეზიდიუმისათვის გადაცემის თაობაზე (იხ. აჭარის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება, „საქართველოს რესპუბლიკა", 26.06.92. ამ უსუსურ განცხადებას მეორე დღესვე, ამავე გაზეთში ცივი წყალი გადაასხა აჭარის უზენაესი საბჭოს დანარჩენი დეპუტატების დასაბუთებულმა პასუხმა). 22 ივნისს... 5 საათისათვის აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა საგანგებო სხდომა დანიშნა და მოხდა კურიოზი, რასაც ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში პრეცენდენტი ძნელად მოეძებნება: **სხდომაზე თითქმის უკლებლივ არ გამოცხადდნენ სწორედ ის დეპუტატები, რომელთა ხსენებული განცხადებები უნდა განხილულიყო ამ სხდომაზე.** ქვორუმი არ შედგა, სხდომა, ბუნებრივია, ჩაიშალა.

რას უნდა ნიშნავდეს და როგორი შეფასება უნდა მიეცეს დეპუტატთა ამ უცნაურ დემარშს? უპრინციპობას, უპასუხისმგებლობას თუ ამომრჩეველთა ნების არად ჩაგდებას? სამივეს ერთად ხომ არა?!

დეპუტატთა ამ უკადრისი დემარშის შემდეგ, არც მეტი არც ნაკლები, მეორე დღეს მათგან ორი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრობის რანგში აღამაღლეს იმ მოტივით, რომ ისინი აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა წარმოადგინა.

რომელ პრეზიდიუმზეა ბატონებო ლაპარაკი? იმ პრეზიდიუმზე ხომ არა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია დღევანდელი საქართველოს რეალური ვითარება, ვეღარ გარკვეულა ქორწილია თუ ქელეხი საქართველოში და მისი ორი წევრი ამ ბოლო ხანებში აქტიურ მონაწილეობას იღებს (თუ ორგანიზაციასაც არ უკეთებს!) ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგებში ბათუმში. ეს კი ფაქტობრივად დაძაბულობის ახალი კერის ჩამოყალიბებისათვის აშკარა ხელშეწყობაა.

იმავე დღეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოში აჭარიდან კიდევ ერთი წარმომადგენელი მიიღეს — თუ არ ვცდები, აჭარის უზენაესი საბჭოს წერილების განყოფილების გამგე, რის საწინააღმდეგო პირადად მე არაფერი მაქვს. მაგრამ, როცა სახელმწიფო საბჭოს წევრები ჯერჯერობით არ არიან აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამის ფონზე აჭარიდან ამ ახალი წევრების მიღება ცოტა კურიოზულად და კომიკურად ხომ არ გამოიყურება? არა გვგონია, სახელმწიფო საბჭოს ავტორიტეტი ამაღლდეს ამგვარი შევსებით.

რაც არ უნდა ხდებოდეს დღეს საქართველოში, ეს მაინც ვერ ამართლებს და არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან აჭარის უზენაესი საბჭოს იმ დეპუტატებს, რომლებმაც განცხადებებით მიმართეს აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან, მაგრამ როგორც პოლიტიკოსებმა აქამდე თავი ვერაფრით გამოიჩინეს. გამომდინარე აქედან, მათ მართებთ გამოფხიზლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი გართულების ვითარებაში, სხვა თუ არაფერი, ისინი მორალურ პასუხისმგებლობას მაინც ვერ აიცილებენ თავიდან.

**ბოლოთქმა:** გასული წლის იანვრიდან დაწყებული, არაერთხელ მომიწია კრიტიკული გამოსვლა როგორც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ აჭარაში გატარებული პოლიტიკის, ისე აჭარის ახალი ხელისუფლების საქმიანობის გამო. ამ ხნის განმავლობაში ჩემს მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე საჯაროდ პასუხის გაცემა არავის უცდია. სამაგიეროდ, არ თაკილობენ კულისებიდან ბრძოლას. ბოლო ხანებში იყო გამაფრთხილებელი სიგნალები ჩემი მისამართით, რაზედაც ამჟამად საუბარი მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მზად ვარ აჭარის პრობლემებით დაინტერესებულთ (ვინც არ უნდა იყოს ის) შევხვდე ნებისმიერ აუდიტორიაში. თუკი ჩემი „ოპონენტები" კვლავ დუმილს ამჯობინებენ, მაშინ სრული უფლება მექნება, ვიფიქრო, რომ ჩემს გამოსვლებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები მართებული ყოფილა, ისინი ძირითადად გაზიარებულია (რა მნიშვნელობა აქვს, ამას აღიარებენ თუ არა! დუმილი ამ შემთხვევაშიც თანხმობის ნიშანია!) და ამ თემაზე საუბარი დამთავრებულად ჩავთვალო.

29.06.92.

## დისკუსია

# ერის ინტერესები ჭეშმარიტებაა

ბოლო ხანებში ეროვნული ინტერესების დაკნინების, მისდამი დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაპირისპირების მიზნით, ხშირად იყენებენ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის მიერ წარმოთქმულ ფრაზას: „ჭეშმარიტება ერის ინტერესებზე მაღლა დგას". ალბათ იმიტომ, რომ ამ ფრაზას საკმაოდ ხშირად იყენებენ და არადანიშნულებისამებრ, გაჩნდა მოთხოვნილება მისი შინაარსის გახსნისა. გაზეთ „საქართველო"-ში გამოქვეყნებული ორი წერილი, ბატონების შოთა ნადირაშვილის (15—21.05.92) და ზურაბ კაკნაძის (22—28.05.92), ამ მოსაზრების დამადასტურებლად მიმაჩნია. ამასთან დაკავშირებით მეც მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება.

ბატონ ზურაბ კაკნაძის მიხედვით: „ეს ჭეშმარიტება თავად ჭეშმარიტების უზენაესობის შესახებ რომ ხმამაღლა ითქვა ყველას გასაგონად, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მისი მთქმელი ჭეშმარიტი ფილოსოფოსი იყო, ბუნებით ფილოსოფოსი, და არა მხოლოდ პროფესიით". დავას შეიძლება იწვევდეს არა მტკიცება „ჭეშმარიტების უზენაესობის შესახებ", არამედ ურთიერთდამოკიდებულება ჭეშმარიტებასა და ერს შორის, გნებავთ ჭეშმარიტებასა და ერის ინტერესებს შორის.

თვით ერის არსებობა, მისი ინტერესების არსებობა ჭეშმარიტებაა და ამიტომ ერი და მისი ინტერესები „უნივერსალური კატეგორიის" — „ჭეშმარიტების" — რეალური გამოვლინებაა. ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიგოთ: „ჭეშმარიტება ერის ინტერესებზე მაღლა დგას". ვფიქრობ, ასეთი ინტერპრეტაცია ზემოთ მოტანილი ფრაზისა თანხმობაშია ბატონ ზურაბ კაკნაძის იმ მოსაზრებასთან, რომ „ყველაფერი რაც კი შექმნილია და არსებობს, ჭეშმარიტებით შეიქმნა და ჭეშმარიტებავე აარსებებს (აქ კითხვითი ფორმა წინადადებისა თხრობითში ჩემი გადაყვანილია რ.ს.). ეს ანიჭებს ყოველ სინამდვილეს აბსოლუტურ ხასიათს და ყოველი მოაზროვნე იმას ცდილობს, რომ ჭეშმარიტება რეალობაში გაანამდვილოს".

მამარდაშვილისეული ფრაზის ნადირაშვილისეულ ინტერპრეტაციას: „მას იმის თქმა უნდოდა, რომ როდესაც ადამიანი ერის სამსახურში ჭეშმარიტებას ღალატობს და სიყალბეს მიმართავს, ეს ამორალურ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს. ამ კონტექსტში მართლაც უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტების სამსახური უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიყალბით, ამორალური გზით ერის სამსახური...", არ ეთანხმება ბატონი ზურაბ კაკნაძე: „ნუთუ ამ ტრივიალური აზრის წარმოსათქმელად ავიდა განსვენებული ფილოსოფოსი მაღალ ტრიბუნაზე — მხოლოდ იმის საუწყებლად, რომ ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიყალბე (ერის სამსახურში გამოჩნდება ეს თუ სხვა ნებისმიერ საქმიანობაში)?". თუ იმას გავითვალისწინებთ რომ რაც არ უნდა მაღალი იყოს ტრიბუნა, რაც არ უნდა „სიბრძნის მოყვარული" იყოს გამომსვლელი, მისი ნათქვამის აზრი, არსებითად, განისაზღვრება სათქმელის აუცილებლობით, მსმენელამდე ამ აზრის სხარტად მიტანის ჩვევითა და აუდიტორიის მზადყოფნით ნათქვამის აღსაქმელად, მით უფრო თუ ბატონი ზურაბისავე სიტყვებით „...იქ („სახალხო ფრონტის" დამფუძნებელ ყრილობაზე. რ.ს.) არ აღმოჩნდა ამის ადგილი...", „შეცდომად, გაუგონარ მკრეხელობადაც კი ჩაუთვალეს ფილოსოფოსს" ნათქვამი, გამორიცხული არაა, რომ ბატონ მერაბ მამარდაშვილს თავის ფრაზაში ის აზრი ჩაედო, რაც ბატონმა შოთა ნადირაშვილმა იგულისხმა.

თუ დღეს ჩემს ეროვნულ სახელმწიფოს საფრთხე ემუქრება, თუ სხვა ერის წარმომადგენელს ჩემს, ქართველის, ხარჯზე უნდა „მშვენიერებისა და სიკეთის" მიღწევა, მე, ქართველი, ამას ჭეშმარიტებად ვერ მივიჩნევ და ვერც ვაქცევ, რადგან ჭეშმარიტება, სწორედ რომ, ეს არ არის.

რადგან ზემოთ განხილულ მამარდაშვილისეულ ფრაზას ხშირად იყენებენ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ერის ინტერესებზე მაღლა დასაყენებლად, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ზოგიერთი კარგად ცნობილი ჭეშმარიტება.

დღეს ჭეშმარიტებად ვერ ვაქცევთ მოძალადისადმი მორჩილებას, არც მშვენიერებისა და სიკეთის დანახვა არ შეიძლება ამაში. ერის ინტერესების მოძალადის საამებლად და სასიკეთოდ შეწირვაც უაზრო კეთილშობილებად მიმაჩნია, თუნდაც ამას დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისათვის ბრძოლა ერქვას. ერის ინტერესები არ გამორიცხავს არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს. სანამ ადამიანთა საზოგადოება სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმებს იყენებს, მით უმეტეს თუ ეს სახელმწიფო ეროვნულია, დემოკრატია, ადამიანის თავისუფლებები და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებანი სახელმწიფოებრივი ინტერესებითაა შემოსაზღვრული. ასეა ეს ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოებში და დაუშვებელია სხვაგვარად იყოს საქართველოში. ისიც დღესავით ნათელია, რომ სახელმწიფოს შემქმნელი ერი უნდა მართავდეს სახელმწიფოს (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიტყვი, რომ აფხაზეთის ავტონომიაც ჩვენი შექმნილია) და არა ვინმე სხვა, უცხო თესლი (როგორც იტყოდა მემატიანე), ვისაც ასეთი სურვილი გაუჩნდება. თუ ეროვნულ სახელმწიფოში ეს პრინციპი დაირღვა, მაშინ ეს სახელმწიფო არც დემოკრატიული არ იქნება, ვერც ადამიანის უფლებებს ვერ დაიცავს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსაც ვერ განახორციელებს. საქმე ისაა, რომ დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიაც ხალხი მონაწილეობს წარმომადგენლობითი ხელისუფლების არჩევის, რეფერენდუმებისა და სახალხო გამოკითხვების გზით. დაერქმევა კი დემოკრატიული იმ სახელმწიფოს, რომელშიაც გადამწყვეტი სიტყვა ეროვნული სახელმწიფოს შემქმნელ ერს (ხალხს) არა აქვს? ან ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ. რამდენად იქნება დაცული ჩემი, ქართველის, უფლებები საქართველოში, თუ მე, ქართველს, ქართველისავე მიერ შექმნილ სახელმწიფოში, ამ სახელმწიფოს მართვაში გადამწყვეტი სიტყვის უფლება არ მექნება. მაგრამ მოქალაქეობის უფლება სახელმწიფოში ყველას როდი აქვს, კონკრეტულობისათვის თუნდაც ქართველი იყოს ის, მით უფრო სხვა ერის წარმომადგენელს, თუ ის საქართველოს ინტერესებს უგულვებელყოფს. მოქალაქეს უფლებებთან ერთად მოვალეობებიც გააჩნია. ასეთია დემოკრატიული მმართველობის მოთხოვნა, ასეთია მისი და ეროვნული ინტერესების ჭეშმარიტება.

რევაზ სალია

## განათლება

# რამ შეჭამა სკოლა?

დიდი ხანია ვამბობთ — განათლების სისტემა ითხოვს ძირეულ გარდაქმნასო. არაერთი საინტერესო კონცეფციაც შემუშავდა, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია.

ხუმრობით უთქვამთ — „პედაგოგიკა ყველაზე ძველი მეცნიერებაა, მაგრამ ბავშვი ჭკუითო". მართლაც, ვინ მოთვლის, რამდენი ბრძნული პედაგოგიური თეორიებია შექმნილი, წაიკითხავთ და თითქოს ყველაფერი ნათელია, გასაგებია, ოღონდ ეგაა, პრაქტიკულად ჭირს მათი განხორციელება.

მას შემდეგ, რაც ოქროს მედალი გაუქმდა, სკოლამ საერთოდ დაკარგა „ავტორიტეტი". იგი ზედმეტ ტვირთად იქცა მოსწავლეთათვის, განსაკუთრებით ზედაკლასელთათვის. ხშირია შემთხვევა, მოდის მშობელი და აცხადებს — ჩემი შვილი ემზადება და სკოლაში ყოველდღე სიარულით ხელი ეშლებაო. სკოლა კი მკაცრად ითხოვს — სავალდებულოა სიარულიო.

კვლავ ვიტყუებთ თავს...

დღესდღეობით სკოლა თავის ძირითად დანიშნულებას, ასე თუ ისე, დაწყებით საფეხურზე ახერხებს. შემდეგ V — IX კლასამდე დაახლოებით 50 პროცენტი მოსწავლეებისა ტანჯვით და იძულებით მიღოღავენ არასრული საშუალო განათლების მისაღებად.

კარგია, რომ მეათე კლასში გადასაყვანი გამოცდები შემოიღეს, რაც საშუალებას იძლევა სკოლაში დარჩეს ღირსეული.

ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა რაც შეიძლება ღირსეულმა მიიღოს საშუალო განათლება, და აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლებაც. მაგრამ ვინც მიიღებს, გვეცოდინება, რომ ნამდვილად კვალიფიცირებულია.

თუ მსოფლიოში ამჟამად პირველ ადგილზე ვართ ექიმთა, ინჟინერთა, მასწავლებელთა რაოდენობით, სულ მალე ყველას გავუსწრებთ მენეჯერთა მხრივ. მე ერთი წუთითაც არ ვარ წინააღმდეგი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლებისა. მათ დიდი საქმე გააკეთეს, საგრძნობი დარტყმა მიაყენეს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ კორუფციას. რაზე მოიკლავს მშობელი თავს და ჩაყრის უამრავ თანხას (მით უფრო, გარანტირებულიც არ არის, რომ შვილი ჩაირიცხება), როცა არის საშუალება, ნაკლებ ფასად მოაწყოს ფასიან უმაღლეს სასწავლებელში. ცხოვრება იქითკენ მიდის, რომ შეიძლება რეპეტიტორთა ინსტიტუტიც მოისპოს, ვინაიდან ფასიანში მისაღები გამოცდები არ ტარდება. ცოტაც და, დადგება დრო, როცა კონკურენციამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. არაფრის მომცემი უმაღლესი სასწავლებლები, „თამაშიდან თავის-თავად გავლენ".

ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, რომ ფიზიკური საქმის გამკეთებელი არა გვყავს. საინტერესოა, ვის უხელმძღვანელებენ ჩვენი მომავალი მენეჯერები, თუ დაზგასთან და მიწასთან კვალიფიცირებული მუშახელი არ ეყოლებათ?!

არადა, უბრალო დამხმარე მუშა „შავ" ბირჟაზე დღეს 300 მანეთს ითხოვს. თორემ სიგარეტით და სალეჭი რეზინით ვაჭრობას რა უმაღლესი სჭირდება!

როგორმე უნდა შეიცვალოს პროფესიული მომზადების საქმე. პროფესიული სწავლება ადრეული ასაკიდან უნდა დავიწყოთ, რადგანაც პროფტექნიკუმში მიმავალთა კონტინგენტი საერთოდ უცოდინარია, რომ იტყვიან, „ხელიდან წასული", ამიტომ, ვიმეორებ, ის ბავშვები, რომლებიც ვერ სძლევენ სკოლის პროგრამას, უკვე V—VI კლასებიდან გადავიყვანოთ პროფესიულ სწავლებაზე, ამით დროსაც მოვიგებთ და ბავშვებსაც ნაკლებად გავაწამებთ. ახალგაზრდას თუ ენდომება სწავლის გაგრძელება, შემდეგაც მოახერხებს, სწავლა გვიანი არასდროს არ არის.

სკოლის სასწავლო პროგრამა — და საერთოდაც, თუ უფრო გლობალურად მივუდგებით,განათლების განვითარების სტრატეგიის პროგრამა — უნდა დავუქვემდებაროთ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტრატეგიას და იგი, როგორც წესი, უნდა იხილებოდეს და მტკიცდებოდეს პარლამენტის დონეზე.

გოგი ანჯაფარიძე
თბილისის 158-ე საშ. სკოლის დირექტორი

**P.S.** შარშან, სასწავლო წლის ბოლოს „ინსტრუქციის" თანახმად გვეძლეოდა უფლება ნებისმიერ კლასებში გამოცდები ჩაგვეტარებინა. ბავშვები მონდომებით ემზადებოდნენ, მასწავლებლები დაინტერესებული იყვნენ, კარგად წარმოეჩინათ მთელი წლის ნამოღვაწარი. წელსაც დავაპირეთ, მაგრამ მშობელთა ერთმა ნაწილმა აიკლო ზემდგომი ორგანიზაციები „ბავშვებს აწვალებენო" და სასტიკად აგვიკრძალეს.

დადგება კი როდესმე ის დრო, როცა სკოლა ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას მოიპოვებს და არ იქნება მშობლების და სხვათა კაპრიზებზე დამოკიდებული?!

რაღაც მეეჭვება...

ვიხსენებ ერთი იაპონელი პედაგოგის ინტერვიუს: „ჩვენ, როცა იაპონია დაქცეული იყო, ძალისმიერ მეთოდებს მივმართავდით სწავლის საქმეში, სხვა გზა არ იყო, ერი სწრაფად უნდა დამდგარიყო ფეხზე და ზოზინის არც დრო და არც უფლება გვქონდა"-ო.

ეტყობა, იაპონიაში ნაკლებად უყვართ ბავშვები...

# ზეცას მიდიან საქართველოს დიდი მხედრები



მთელი საქართველო დაამწუხრა ცნობამ პოლკოვნიკ ბესარიონ (ბესიკ) თენგიზის ძე ქუთათელაძის გარდაცვალების შესახებ.

პოლკოვნიკი ბესიკ ქუთათელაძე ჩვენს ცნობიერებაში იმ პიროვნებად დარჩება, რომელიც დეკემბერ-იანვრის ტრაგედიისას ორ მოქიშპე მხარეს გასაშველებლად შუაში ჩაუდგა, შუაში ჩაუდგა არა ვინმე გულდედალი და მხდალი, არამედ ის კაცი, ვისაც არავისზე ნაკლებ არ შეეძლო, თუ მეტად არა, ბრძოლა. აკი დაწერა კიდეც ლიტერატურულ გაზეთში — ჩვენ რუსთაველზე სიკვდილის შეგვრცხვაო. სირცხვილია, მართლაც სირცხვილია ერთმანეთის ხელით სიკვდილი... მისი ამქვეყნიური არსებობა კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო იმისა, რომ მტერმა ვერასდროს მოახერხა ჩვენში ჩაეკლა მხედრული სული, რომელმაც ამ კაცშიც გაიხმიანა მთელი ძალით...

პოლკოვნიკი ბესიკ ქუთათელაძე მარტოოდენ თავის ორ ვაჟკაცსა და მეუღლეს, მშობლებს, ნათესავებსა და ნაცნობმეგობრებს კი არ მოკვდომია, მთელს საქართველოს მოუკვდა, უფრო სწორად ზეცაში წავიდა მამულისთვის თავდადებულ დიდ მხედრებთან და სწორედ მათნაირი დიდი ღირსებების — ვაჟკაცობის, თავდადების, შეუპოვრობის, მიმტევებლობის — მქონე ეს ოცდათოთხმეტი წლის კაცი მართლაცდა ღირსია დალაობით დავიტიროთ და მთელ საქართველოს ვთხოვოთ ზარის თქმა — დალაი გვითხარით, დალაი!

დალა თქვით, დალა მხედრებო, ძნელი არს დალაობაი.
ბრალი ხარ ქუთათელაძევ. შენი ულაშქროდ სიკვდილი.
ეგ შენი ნაცვამ-ნამოსი დარბაზს არ იცვითებოდეს,
შენი წვერი და ულვაში მწვანილად ამოდიოდეს,
ეგ შენი დედა, ბეჩავი, სუროსებრ ექანებოდეს,
ეგ შენი ცოლი, ბეჩავი, სანთლებურ ჩამოდნებოდეს,
შენი გვარისი ქალ-რძალი შავითა იმოსებოდეს.
დედამ გტირიან შვილობით, დანი გტირიან ძმაობით,
მამან გტირიან ძეობით, ალამო, ქუთათელაძევ.
ლაშქარს გიკითხვენ სწორები, წინამ არ გაუძლვებია?
მაგ შენის ჩალა ცხენითა ლაშქართ არ აერეოდე.
შენის სიათის თოფითა მდევარს არ უბრუნდებოდე.
ომში ხმალამოღებულო, სწორში თავგამოდებულო,
მამა-პაპობით ხმლიანო, გამჭრეო, მოსამართლეო,
გამრიგევ გვარდიელთაო, პირწყალო თავის ქვეყნისა.
კარზედ გიდგანან სტუმრები, შინამ არ შეუძლვებია?
კაცი ხარ სახელიანი, კარგამ არ დაუხვდებია?
სტუმართად დღეო მზიანო, ალამო, ქუთათელაძევ.
საჩხერეს მოგიკითხავენ, ქართლშია საომრადაო,
სამაჩაბლოში გიკითხვენ, ქალაქში ჯარებს ხყრისაო,
ქალაქს გიკითხავს ბატონი, წავიდა უფალთანაო.
ნეტა შენს საიქიოსა, სულეთს შეხვ მტრედისფერადა.
სულეთს გიდგანან კოდები, გადმომდინარნი პერადა,
სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა,
ზედ გიდგან მელვინეები, ხუცითა, დიაკვნებითა,
ამოიღებენ, დალევენ, ვერცხლისი ვაშრაპებითა,
ალამო, ქუთათელაძევ,
ღმერთმა გაცხონოს სულითა!

# საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ ვახტანგ რაზმაძეს

გაზეთ „საქართველოს" 23-ე ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი კორესპონდენტის თ. გოგოტიშვილის მამხილებელი ხასიათის წერილი სათაურით — „წალკაში მაფია ბობოქრობს". აღნიშნულ წერილში წამოჭრილი პრობლემები ოპერატიულად შეისწავლა რესპუბლიკის პროკურატურამ, შედეგები და რეკომენდაციები ინფორმაციის წესით დაეგზავნათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ა. კავსაძეს, გაზეთ „საქართველოს" რედაქციას. შემოწმების შედეგად დადგენილა, რომ მიუხედავად არაერთი საკითხის მართებულად წარმოჩენისა, თ. გოგოტიშვილის წერილი ტენდენციურია, რამდენადაც კორესპონდენტი დაეყრდნო მხოლოდ ერთი მხარის, წალკის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მონათხრობს რაიონში შექმნილი სიტუაციის შესახებ.

წერილში გვხვდება დაუსაბუთებელი გამოთქმები ცალკეულ პირთა მიმართ.

ტენდენციურადაა წარმოჩენილი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის ბატონ ომარ ელოშვილის წალკაში ჩასვლისა და რაიონში მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით გაწეული მუშაობის ფაქტიც, რის გამოც რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ ომარს და სხვა პირებს.

ბატონო ვახტანგ! რედაქცია მადლობას სწირავს რესპუბლიკის პროკურატურას საკითხის ოპერატიულად, ობიექტურად შესწავლის, იმ რეკომენდაციებისათვის, რომელთა განხორციელება საერთო საქმეს წაადგება.

სარედაქციო საბჭომ იმსჯელა კორესპონდენტ თ. გოგოტიშვილის წერილთან დაკავშირებით.

ვინაიდან იგი ნიჭიერი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელი, დამწყები ჟურნალისტია, ვინაიდან შეცდომა დაუშვა უნებლიედ, გამოუცდელობის ნიადაგზე და არა წინასწარგანზრახულად, სარედაქციო საბჭო დაკმაყოფილდა თ. გოგოტიშვილისათვის საყვედურის გამოცხადებით.

პატივისცემით,
ნოდარ ბრიგალაშვილი,
გაზეთ „საქართველოს"
რედაქტორი

# დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის კომერციული საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992—1993 სასწავლო წლისათვის შემდეგი საინჟინრო-ეკონომიკური სპეციალობებით (დღისა და საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილება): მშენებლობისა და სამშენმასალათა მრეწველობის; საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის; ჯანდაცვის, საკურორტო მეურნეობის, ტურიზმისა და კვების მრეწველობის; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საქალაქო მეურნეობის და მისი კადასტრის; ქიმიურ-სატყეო კომპლექსის; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიული მრეწველობის; ბუნებრივი რესურსებისა და მიწის კადასტრის; საფონდო, სასაქონლო და შრომის ბირჟისა და წარმოების მართვის ორგანიზაციის ინჟინერ-ეკონომისტი.

ინსტიტუტში პირველ კურსზე მიიღებიან ზოგადსაშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი. აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება ტესტური გასაუბრებით — მათემატიკა, ფიზიკა ან ქიმია (სპეციალობის მიხედვით). გასაუბრების მიზანია გამოავლინოს უკეთესი მონაცემების აბიტურიენტები, ხოლო ის აბიტურიენტები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ გასაუბრებაზე წაყენებულ მოთხოვნებს (სურვილის შემთხვევაში) ჩაირიცხებიან ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე, სადაც შესაბამისი პროგრამით მიიღებენ ცოდნას, პროფესიულად დაკვალიანდებიან და გაუძლიერდებათ ორი პროფილით ინჟინერ-ეკონომისტად ჩამოყალიბების ინტერესი.

უმაღლესი განათლების მქონე პირები, გასაუბრების შემდეგ, ჩაირიცხებიან მეორე კურსზე.

ინსტიტუტში სტუდენტი, მის მიერ არჩეულ სპეციალობასთან ერთად, ხელშემწყობი პირობებითა და გაძლიერებული სწავლებით, ვალდებულია დაეუფლოს ერთ-ერთ უცხო ენას იმ ვარაუდით, რომ მეოთხე კურსის ბოლომდე შეძლოს ენის დაუფლება და კომისიური წესით გამოცდის წარმატებით ჩაბარება; ხოლო ის სტუდენტი, რომელიც ვერ ჩააბარებს გამოცდას უცხო ენაში დატოვებული იქნება კურსზე და არ დაიშვება წინასადიპლომო პრაქტიკაზე.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა გამორჩეული და კომერციული ნიჭის მქონე სტუდენტებს დახმარებას გაუწევს სხვადასხვა ტიპის მცირე საწარმოების, ბანკების, ბირჟების, საბროკერო და კომერციული ფირმების, ასოციაციების საქმიანობაში შესაყვანად, აგრეთვე მათ შექმნასა და ჩამოყალიბებაში, რაც საშუალებას მისცემს ასეთ სტუდენტებს სწავლის პერიოდშივე ჩაებან პრაქტიკულ საქმიანობაში, გამოიმუშაონ გარკვეული თანხა და, ამავე დროს, ეს მუშაობა ჩაეთვლებათ საწარმოო პრაქტიკად.

განსაკუთრებით წარჩინებულ სტუდენტებს მე-3 კურსიდან დაენიშნებათ სახელობითი სტიპენდიები (1000 მანეთამდე). მესამე კურსიდან ნავარაუდევია სტუდენტთა ჯგუფების გაცვლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

ინსტიტუტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესისა და ინჟინერ-ეკონომისტის პროფილის სპეციალისტის მომზადების სრულიად ახალი მოდელი, მეცნიერულად დასაბუთებული სასწავლო გეგმები და სპეცდისციპლინების ორიგინალური პროგრამები განმტკიცებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამასთან ერთად, ინსტიტუტში მოწვეულია თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. მიმდინარე სასწავლო წელს მხოლოდ პირველკურსელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა 32 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 58 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; 3 რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია; ყოველი სასწავლო წლის სწავლების საფასური განისაზღვრება სწავლის დაწყებამდე, ფულის კურსის ცვლილების მიხედვით. სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ინდივიდუალურად ნაღდ ანგარიშზე, ასევე იურიდიული პირების მიერ გადარიცხვით.

განსაკუთრებული მონაცემების, აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ტრაგიკულად დაღუპულთა, ხუთ და მეტშვილიან ოჯახებიდან გამოსული სტუდენტები ისარგებლებენ სხვადასხვა შეღავათებით.

ინსტიტუტის წარჩინებით კურსდამთავრებულებს მიეცემათ შესაბამისი კვალიფიკაციის ინჟინერ-ეკონომისტის დიპლომი, აგრეთვე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და მთლიანად დაუბრუნდება 5 წლის განმავლობაში გადახდილი სწავლების საფასური ან შესაბამისი ღირებულების აქციები.

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია, მეცადინეობა იწარმოებს ქართულ ენაზე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, ზოგადსაშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების ატესტატი (დიპლომი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 086), 4 ცალი ფოტოსურათი (3X4). აბიტურიენტი პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

საბუთები მიიღება ორ ეტაპად:

I ეტაპი — 29 ივნისიდან — 21 ივლისამდე, გასაუბრება და ჩარიცხვა 23 ივლისიდან — 30 ივლისამდე.

II ეტაპი — 3 აგვისტოდან — 21 აგვისტომდე, გასაუბრება და ჩარიცხვა 24 აგვისტოდან — 29 აგვისტომდე.

პირველ ეტაპზე საბუთების შემომტანი აბიტურიენტები ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით.

საბუთები მიიღება ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის პროსპექტი № 25 ტელ: 22—60—03

ქ.თბილისი, ისნის რაიონი, II-ე კომკავშირის ქ. № 22 (95-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა; მისასვლელი: ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ყოფილი ბოგდან ხმელნიცკის, ქუჩიდან, ფარმაკოქიმიური ქარხნის გვერდით), ტელ: 98—94—45

ქ.სოხუმი, ოქტომბრის ქ. № 85 (ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობა)

ქ.გურჯაანი, მერაბ კოსტავას ქ. № 63 (გიმნაზიის შენობა)

ინსტიტუტის რექტორატი ღია კარის დღეს — აბიტურიენტებთან და მათ მშობლებთან შეხვედრას, აწყობს 3 ივლისსა და 17 ივლისს 1[illegible] საათზე ინსტიტუტის საქტო დ[illegible] ბაზში.

რექტორატი

ინდექსი 66447
ფასი 3 მან.
რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი